პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ს. კ. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
[illegible] ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 262 ოთხშაბათი, 14 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500.000 მ ნ. № 262

Коллекция [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

კრაკოვის აჯანყების მაწყობელთა [illegible] პროტესტის დემონსტრაციის ხასიათი.

ტიურინგიის კომპარტიამ გადასწყვიტა [illegible] მთავრობის შემადგენლობიდან.

ბავარიაში ფართო ხასიათს იღებს კარის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა.

გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად ნება დართო კრონპრინცს დაბრუნდეს გერმანიაში.

უსურსათობის ნიადაგზე გერმანიაში ხელახლა დაიწყო არეულობა.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 16 ნოემბერს.

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვათ საკითხი

„კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის“.

მოხსენებას უჯრედებთან მიმაგრებული ამხანაგებისათვის გააკეთებს ამხ. **მიასნიკოვი** პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე.

დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

„რუსეთის საკითხის გადაჭრა შეიქნება პირველი საზრუნავი საქმე, ყველა მათთვის, ვის ხელშიც არის საფრანგეთის სვე-ბედი“-ო— ასე განაცხადა რადიკალ-სოციალისტურ პარტიის ბელადმა ერრიომ, პარტიის ყრილობის შემდეგ, სადაც ყველაზე უფრო აღფრთოვანებული გამოხმაურება დელეგატებისა და დამსწრეთა მხრივ იმ სიტყვებმა გამოიწვიეს, რომლებიც შეეხებოდენ მოწოდებას რუსეთთან დაახლოვების შესახებ.

ედუარდ ერრიო ცნობილია რუსეთშიც. საფრანგეთში ის ეკუთვნის პოლიტიკოსთა იმ რიცხვს, რომლებსაც მსმენელები და დამფასებლები ჰყავთ. ის ყველას მიერ მიჩნეული ბელადია პარტიის, ერთ-ერთი მეთაურთაგანი, შეიძლება ითქვას ყველაზე უფრო გავლენიანი მეთაური ეგრედ წოდებული „მემარცხენეთა ბლოკის“, რომელიც ემზადება, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „გამანადგურებელი“ ბრძოლა აწარმოოს ცნობილ ,,ნაციონალურ ბლოკის‘‘ წინააღმდეგ, რომ დასცეს მისი ბატონობა და თვითონ გაბატონდეს. ერთი სიტყვით ერრიო მომავალი კანდიდატია საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, ის ერთნაირ საშიშროებას წარმოადგენს პუანკარესთვის, რომელიც, შეიძლება იძულებული შეიქნეს, ერთ მშვენიერ დღეს ადგილი დაუცალოს მას, თუ ამ დროის განმავლობაში „მესამე ძალამ‘‘ არ მიაბრძანა ორივე იქ,-სადაც ეს საჭიროა.

ამნაირათ მის სიტყვას, ასე ვსთქვათ, წონა აქვს. ის გამოხატავს აზრს საკმაო მრავალრიცხოვან წვრილ ბურჟუაზიისას საფრანგეთში და ფრიად დამახასიათებელია ამ ქვეყნის დღევანდელი საზოგადოებრივი აზრისთვის, რომ მის პარტიას გადაწყვეტილი აქვს ერთ-ერთ ლოზუნგათ ხსენებულ არჩევნების დროს გამოაცხადოს საბჭოთა რუსეთთან დაახლოება. „რეალური პოლიტიკის“ მატარებელი პარტია, როგორც ის უწოდებს თავის თავს, ცხადია, ვერ წარსდგება ამომრჩეველთა მასების წინაშე, საშიშ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ისეთი ლოზუნგით, რომელსაც ცოტა შანსები აქვს მოიკრიბოს თავის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრი. ამნაირათ თვით ის ფაქტი, რომ პარტიამ წამოაყენა ეს ლოზუნგი—მოწმობს იმაზე, რომ ჩვენ ვდგევართ საფრანგეთში ფრიად მნიშვნელოვანი გარდატეხის ფაქტის წინაშე.

ასეთ საერთო „შემთანხმებელ“ სულისკვეთებას ამ ქვეყანაში აძლიერებს მისი დღევანდელი მდგომარეობა ევროპაში. ეჭვს გარეშეა, რომ მას შემდეგ, რაც ლლოიდ-ჯორჯის აგიტაციის გამო მისი ყოფნის დროს ამერიკაში, ამ უკანასკნელის მმართველ წრეებში დაისახა გარკვეული გადახრა ინგლისის მხარის დასაჭერათ ევროპის და კერძოთ გერმანიის საკითხში, მას შემდეგ რაც თვით ბელგიაც შეირყა დაუახლოვდა ინგლის-ამერიკის თვალსაზრისს გერმანიის სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტაში — ყოველივე ამის შემდეგ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოიცვა ეჭვებმა პუანკარეს შეურიგებელი პოლიტიკის გამო გერმანიაში და მის წინ დაისახა სრულიად რეალურათ შესაძლებლობა საფრანგეთის იზოლიაციისა ევროპაში. აქედან წარმოსდგება ერთნაირი ,,შემთანხმებლობა‘‘ ამ ,,საზოგადოებრივი აზრისა‘‘, კერძოთ რუსეთის მიმართაც და სწორეთ ასეთი გარემოებით მოხერხებულათ სარგებლობს ერრიოს პარტია დღეს.

ჩვენ, რასაკვირველია, დიდ იმედებს ვერასოდეს ვერ დავამყარებთ ,,მემარცხენე ბლოკზე‘‘ და ვერ ვიტყვით წინასწარ, თუ რამდენათ შესძლებენ ისინი გასტეხონ წინააღმდეგობა იმ ძლიერი ჯგუფების, რომლებიც განსაზღვრავენ დღეს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ხაზს და კერძოთ მის დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენ ვუახლოვდებით მომენტს, როდესაც თვით ჩვენი ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერიც იძულებული იქნება იცნოს ურყევი ფაქტი საბჭოთა დიდი კავშირის ძლიერებისა და მასთან ნორმალური ურთიერთობის დაწესებისა.

მეტი ყურადღება სტუდენტობას

ოქტომბრის რევოლიუციას, მუშათა კლასის დიქტატურას, სტუდენტობა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, მტრულად შეხვდა. დიდი უმრავლესობა სტუდენტობისა იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. დენიკინის ჯარში სტუდენტებისაგან შედგენილი იყო განსაკუთრებული ლეგიონები, რომლებიც თავგანწირულათ იბრძოდენ მემამულეებისა და ბურჟუაზიის ძალაუფლების აღსადგენათ. უნივერსიტეტში და აკადემიებში სტუდენტობა რეაქციონურ პროფესურასთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ხელი შეეშალა საბჭოთა აღმშენებლობისათვის. პირველ ხანებში პოლიტიკურ გაფიცვებსაც აწყობდნენ უნივერსიტეტებში. მაგრამ ძალიან მალე, სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლას ჩვენ აქ არ გამოუდგებით, პროფესურასა და სტუდენტობაში გარდატეხა მოხდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ. აქ, რასაკვირველია, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგრედ წოდებულმა კლასიურმა შერჩევამ მისაღები სტუდენტებისა: ამ უკანასკნელ წლეების განმავლობაში უნივერსიტეტში ღებულობდნენ მხოლოდ მშრომელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდობას. რამდენიმე ათი ათასი მუშა და გლეხი მოხდა უნივერსიტეტის კედლებში, მუშათა ფაკულტეტების საშვალებით და დღეს რუსეთში სტუდენტობა არის ერთი იმ ძალთაგანი, რომელსაც სრულის ნდობით ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენში სტუდენტობამაც ეს გზა გაიარა. იგი შეიქნა მენშევიკური კონტრ-რევოლიუციის თითქმის ერთად-ერთი დასაყრდენობი ძალა. ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა 1921—1922 წლ. მთელი თავისი ენერგიით და შესაძლებლობით ებრძოდა საქართველოში მუშათა კლასის დიქტატურას. უნივერსიტეტი გადაიქცა მენშევიკური, ნაციონალ-დემოკრატიული და მემარჯვენე ფედერალისტური, კონტრ-რევოლიუციონურ შტაბათ. პროფესურაც სავსებით მტრულ განწყობილებაში იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ასეთი გარემოების გამო ეს უკანასკნელიც იძულებული შეიქნა ზომები მიეღო.

აუცილებელ საჭიროებათ იქნა ცნობილი, რომ უნივერსიტეტის კედლებიდან განდევნილიყვნენ ყველა ისინი, ვინც აშკარათ ჩაბმული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მოხდა უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკუმის გაწმენდა ამ ჯურის სტუდენტობისაგან მიმდინარე აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მიღება სწარმოებდა კლასიურ პრინციპების მიხედვით, ე. ი. უნივერსიტეტში მიღებულ იქნენ ის პირნი, რომელნიც გამოსული იყვნენ მშრომელთა წრეებიდან. ასეთ ზომებს სათანადო შედეგი მოჰყვა. კიდევ რამოდენიმე ხნის მუშაობა და ჩვენი სტუდენტობა გარდაიქცევა ერთ-ერთ რევოლიუციონურ ძალათ, რომელიც ხელს შეუწყობს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებას და საერთოდ კი ქართული კულტურის აღორძინება-განვითარებას. სტუდენტების დადებით მუშაობას ამიერიდან ჩემის აზრით ხელს ვერაფერი შეუშლის გარდა ერთისა. ეს არის ის უკიდურესი უსაღსრობა, რომელსაც განიცდის ჩვენი სტუდენტობა

წელს უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმს უამრავი სტუდენტობა მიაწყდა, შეუძლებელი შეიქნა ყველას მიღება. სტუდენტების დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია, პროვინციიდან არის ჩამოსული მათ თან მოჰყვათ ჩვენი გლეხის სილატაკე და უსაღსრობა. წელს უნივერსიტეტში მიღებულ იქნა 1130 კაცი, პოლიტეხნიკუმში 750 კაცი. საერთოთ უნივერსიტეტში იმყოფება — 5700 სტუდენტი, პოლიტეხნიკუმში—2993 სულ - 8783. თუ ამას დაუმატებთ 1084 მუშათა ფაკულტეტის მსმენელებს, გამოვა 9867 სტუდენტი. ამ რიგათ დღეს თბილისი იტევს ამოდენა სტუდენტობას; რასაკვირველია, სახალხო განათლების კომისარიატის ყურადღება მიქცეულია სტუდენტობის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ. მაგრამ, ის რაც გაკეთდა ამ მხრით, წვეთია ზღვაში. სახელმწიფო სტიპენდია დანიშნული აქვს უნივერსიტეტსა, პოლიტეხნიკუმსა და მუშათა ფაკულტეტზე სულ 265 კაცს. დახმარებასა და სტიპენდიას კი მოითხოვს სტუდენტობის 95 პროცენტი; და არც ის სტუდენტები, რომელთაც ეძლევათ სტიპენდია არიან სავსებით უზრუნველყოფილნი; სტიპენდია განისაზღვრება საქონლის მხოლოდ 10 მანეთით; ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა თვით ამ 10 მანეთსაც სტუდენტობა ორათ ჰყოფს და, ამრიგათ კმაყოფილდება მარტოოდენ 5 მანეთით. ყველასათვის ნათელია, თუ რა პირობებში უნდა იცხოვროს იმ ადამიანმა, რომელიც თვეში ღებულობს 5—10 მანეთს, ისიც იმ დროს, როდესაც სტიპენდიის მიღება თავის დროზე ყოვლად შეუძლებელია და, მაშასადამე, სტუდენტობა ღებულობს მას არა ნამდვილი კურსის მიხედვით. ამასთანავე წელს სტუდენტობას არ მიუღია სექტემბრის სტიპენდია.

აშკარაა, რომ ამ მხრით მარტო სახელმწიფოებრივი დახმარება ვერაფერს გახდება, საჭიროა უფრო ფართო ინიციატივა,—საბჭოთა ორგანოებისა, პროფკავშირების და კოოპერატივების და მათი მხრით ყოველმხრივი დახმარების გაწევა სტუდენტობისადმი.

რუსეთში ამ მხრით გადადგმულ იქნა ფრიად სერიოზული ნაბიჯები, რომლებმაც სათანადო შედეგი მოიტანეს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელშიც არ გატარებულიყოს სტუდენტობის კვირეული. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში მზრუნველობისა და ზრუნვის საქმეთ გახდა სტუდენტობა. საბჭოთა დაწესებულებებმა, სამეურნეო და კოოპერატიულ-პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სტუდენტობის კვირეულში. ისინი აარსებდნენ და ღებულობდნენ თავიანთ თავზე მუდმივ სტიპენდიებს. სახელმწიფო გამომცემლობამაც კი გამართა წიგნების იაფი გაყიდვა ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ. ნანსენის მისიამ 5 პრ. მთელი თავისი ფონდისა გაიღო სტუდენტების სასარგებლოთ. როსტოვში დაარსებულ იქნა პროლეტარულ სტუდენტების მეგობრების საზოგადოება. კინო-თეატრები მთელ ერთ დღიურ შემოსავალს სდებდენ სტუდენტობის სასარგებლოდ. იმართებოდა კონცერტები და საღამოები საუკეთესო ძალების უფასო მონაწილეობით. ყოველივე ამან დიდი შედეგი მოიტანა. ამასთანავე კომუნალური განყოფილებები აწყობენ სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელ სახლებს.

რასაკვირველია, ყოველივე ეს ჩვენში იოტის ოდნავათაც არ არის მოწესრიგებული და თითქოს არც არავინ ფიქრობს ამის შესახებ. დრო აღარ იცდის, საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, რათა ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტობის ღარიბი ნაწილი, რომელიც ეგრე რიგათ არის დაწაფებული სწავლა განათლებას. ჩვენში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, მხოლოდ საჭიროა ამ საკითხის დღის წესრიგში დასმა ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციების მიერ.

განა არანორმალურ მოვლენათ არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისეთ ეკონომიურ ორგანიზაციას, როგორიც არის „ჩემო“, არც ერთი სტიპენდიანტი არ ჰყავს თავის ხარჯზე აყვანილი? ან რას ფიქრობს ჩვენი „ცეკავშირი“, ან კიდევ ჩვენი პროფორგანიზაციები და ან სამეურნეო დაწესებულებანი? ყველა ამათ შეუძლიანთ თავის ხარჯზე გამოზარდონ არა ერთი და ორი სტუდენტი უნივერსიტეტში.

რუსეთში ასეთაც კი დაისვა საკითხი: ყოველი საბჭოთა დაწესებულება, რომლის თანამშრომელთა რიცხვი 200 კაცს უდრის,—ერთი თვის, ორის, ექვსის თუ წლის განმავლობაში კისრულობს თავის თანამშრომლების ხარჯზე სტუდენტის საცხოვრებელ და სწავლის გადასახადის შეტანას. ყველა ზემო ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარება ჩვენს უმთავრეს ქალაქებში შესაძლებელია. კიდევ შეიძლება გამოინახოს სხვადასხვა საშვალებანი სტუდენტობის უზრუნველსაყოფათ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, პრაქტიკული ნაბიჯები სტუდენტობის კვირეულის ჩასატარებლად უკვე გადადგმულია. არჩეულია სათანადო კომისია. მხოლოდ საჭიროა ფართო საზოგადოება გამოეხმაუროს ამ ფრიად საყურადღებო საქმეს და ქართველ ღარიბ სტუდენტს საშვალება მისცეს სწავლა-განათლება დაამთავროს და მით ქართული კულტურის განვითარებას ხელი შეუწყოს.

არ. კვირიკაძე

თანამედროვე სოფლის შესახებ

I

გასული წლის ბოლოს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შედგენილ იქნა კომისია სოფლის შესასწავლათ. იგულისხმება, რომ მთავარი მიზანი ამ კომისიის იყო თანამედროვე სოფლის, რევოლიუციის მერმინდელი სოფლის შესწავლა და არა უწინდელის. ამ კომისიის მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მთელ რიგ წერილებში კომისიის წევრებმა წარმოგვიდგინეს ჩვენ ნამდვილი სურათი. რუსეთის სოფლის ცხოვრებისა. ნიმუშათ შეგვიძლია მოვიყვანოთ ამხ. იაკოვლევის შრომა: „სოფელი, როგორიც ის არის“.

მიმდინარე წლის დასაწყისში ასეთივე მიზანი დაისახეს ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებმა. არ ვიცი, მოიტანა თუ არა რაიმე ნაყოფი ამ ცდამ. ვფიქრობ, რომ ძლიერ ცოტა, თუ სულ არაფერი. ამავე დროს დიდ ინტერესს წარმოადგენს, როგორც თეორეტიულის, ისე პრაქტიკულის მხრივ, ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს სოფლის შესწავლა. ეს უკანასკნელი ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურობით, რომელსაც რუსეთში არა აქვს ადგილი. ჩვენს სოფლებში ვხვდებით სხვადასხვა ერის და ტომის ხალხს. ეჭვი არ არის, ეს მიზანი—საქართველოს სოფლის ყოფა-ცხოვრების შესწავლა რევოლიუციის შემდეგ, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას ჩვენს წინაშე. თუ სოფელში გინდა გაატარო რაიმე ღონისძიება ან რეფორმა, საჭიროა მას კარგათ იცნობდე, რომ იმოქმედო სხვადასხვა სპეციფიური პირობებისათვის ანგარიშ გაწევით. ზოგადი ფრაზებით მიდგომა ყველაზე უფრო სოფელს ავნებს, რადგან ის უფრო ნაკლებ არის შეჩვეული აბსტრაქტულ აზროვნებას, ვინემ ქალაქის მცხოვრებნი.

დღეს ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სალშეფო მუშაობა და სხვ. ამას ემსახურებიან. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ ჯერ ცოტა გავაკეთეთ საჭიროა მეტი ყურადღება სოფლისადმი, მეტი გაცნობა მის გაჭირვების და საჭიროების.

რას წარმოადგენს თანამედროვე სოფელი? რა გახდარა მისი მთავარი ყურადღების ცენტრად? რას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება, რომ სოფლის გაჭირვებას მალამო დავსდოთ?

ამ ახლო ხანში მქონდა შემთხვევა მგზავრობისა გურიის რამოდენიმე სოფლებში. იქ მიღებული შთაბეჭდილების გადატანა საქართველოს სხვა კუთხეებზე შეუძლებელია, მაგრამ რამოდენიმეთ მაინც ნათელს ჰფენს მათაც. გურიის სოფლები, რომელთაც მე ვესტუმრე, მოწინავე სოფლებათ ითვლებიან საქართველოში. ჯერ კიდევ რევოლიუციამდის თითეულ მათგანში ორი ან სამი სკოლა იყო და ასევე სამკითხველოები. მთავარი საკითხი ამ სოფლებში ეკონომიური საკითხია. უფრო კონკრეტიულად რომ ვსთქვათ, ეს ქალაქის ნაწარმოების სიძვირე და სოფლის ნაწარმოების სიიაფე. ამ ტროცკის „მაკრატლის“ წვერების განშორება ერთმანეთისაგან უმაღლეს ხარისხს სოფელში აღწევს, რადგან სოფელში მიღწევამდის ყოველ საქონელს ედება გზის და სხვა ხარჯები. რომ უფრო აშკარათ გავხადოთ ეს, მოვიყვანოთ რამოდენიმე ცნობებს: ლანჩხუთის, შუხუთის და სხვა კოოპერატივებში 1 კარობკა სპიჩკა ღირს 2 ნახ.— 3 კაპ. ჩერვონცებში, ნავთი 1 გირვანქა კი 9—10 კაპეიკი.

უწინ კი, ომის დაწყებამდი, ამავე სოფლებში გლეხი 2 კარობკა სპიჩკას იძენდა 3 კაპ. და 1 გირ. ნავთს 4 ან 5 კაპ., ასე რომ ეხლა გლეხისათვის სპიჩკა და ნავთი ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ომამდის იყო.

ამავე დროს სოფლის ნაწარმოებს გასავალი თითქმის სულ არა აქვს. სიმინდი ან სულ არ იყიდება ან ძალიან იაფ ფასებში. მაგალითად, 1. ფ. სიმინდი ფასობს 2 ან 2 ნახ. მილიონი მან; ეს კი უდრის დაახლოვებით 25—30 კაპ. ჩერვონცებით, ომამდის კი 1 ფ სიმინდის ფასი აღიოდა 1 მ.— 1 მ. 10 კაპ. იშვიათად კი 1 მან. 20 კაპ. როგორც ხედავთ, სიმინდის ფასი 4—5 ჯერ დაცემულა. სოფლის ხალხს კი უმთავრესად სიმინდი მოეპოვება გასასყიდათ. გლეხობას შეუძლია აგრეთვე მიაწოდოს ქალაქს დაფნა. დაფნის მეურნეობა ომის წინა წლებში ძალიან ვითარდებოდა გურიაში. მაგრამ ომის და რევოლიუციის ხანებში ის შეჩერდა და დღეს მას არავითარი გასავალი არ აქვს. არ ვიცი ექცევა თუ არა რაიმე ყურადღება ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციებისაგან დაფნის მეურნეობას, რომელიც გადაგვარების პირზეა მისული. მაშ ასე, სოფლის ნაწარმოები ან სულ არ გადის, ან ჩალის ფასათ. ლანჩხუთიდან რომ ტფილისში ამოხვიდე, 20—30 ფუთი სიმინდი მაინც უნდა გაყიდო. 1 ფუთი სიმინდით შეგიძლია იყიდო მხოლოდ 2—3 გირ. ნავთი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნავთი და მარილი ხსენებულ ფასებშიაც კი თითქმის არ მოიპოვება, რაც უეჭველია უკმაყოფილებას ბადებს ხალხში. კოოპერატივებმა ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ პირველ აუცილებლობის საგნებით მაინც უზრუნველჰყონ სოფელი. ეხლა გურიის სოფლებში ძლიერ გავრცელებულია ციება (ავადმყოფობა). რომ იყიდო ორი ან სამი პარაშოკი ქინაქინი, ამისათვის საჭიროა ერთი ფუთი სიმინდი მაინც გაყიდო. ექიმის მოყვანა ხომ სოფლის კაცს თითქმის სულ არ შეუძლია, თუ არ გაყიდა რაიმე სხვა, უფრო ძვირფასი.

აქედან აშკარაა, რომ ეკონომიური მდგომარეობა გლეხკაცობისა მძიმეა. გლეხკაცს არ შეუძლია იყიდოს ტანისამოსი, წაღები, ქალამნებისათვისაც კი საჭიროა 15 ფ. სიმინდის გაყიდვა მაინც. ხშირია შემთხვევები, როდესაც მასიურ კრებებზე ჩაუცმელობის გამო მცხოვრებნი ვერ გამოდიან. თავის თავად ცხადია, გლეხკაცობის ასეთი ეკონომიური მდგომარეობა გავლენას ახდენს კულტურულ მუშაობაზეც სოფლებში.

ქ. ორაგველიძე.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

ტიურინგიის კომპარტიამ გადასწყვიტა გამოვიდეს ტიურინგიის მთავრობის შემადგენლობიდან:

ახალი მთავრობის „ძებნაში“: მთავრობის შედგენის საკითხის გამოსარკვევად, სოციალ-დემოკრატები აპირებენ მოითხოვონ რეიხსტაგის მოწვევა.

გამოირკვა, რომ საფრანგეთი ჩაერევა გერმანიის შინაურ საქმეებში, თუ მონარქისტული დიქტატურა განმტკიცდებოდა.

დემოკრატიულ პარტიას შეუძლებლად მიაჩნია მთავრობის შედგენის შესახებ მოლაპარაკება გამართოს იმ პარტიებთან, რომლებიც იცავენ არსებულ კონსტიტუციას.

შავ ბანაკში: კარმა კომუნისტური პარტია ბავარიაში დაშლილად გამოაცხადა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული გაზეთები დახურა.

ლიუდენდორფს სდარაჯობს „საპატიო ყარაული“; მას მინიჭებული აქვს მისვლა-მოსვლის თავისუფლება.

ბავარიის ბურჟუაზია მხარს უჭერს ჰიტლერს და წინააღმდეგია კარის.

არეულობა და გაფიცვები: გერმანიის სხვა და სხვა ოლქებში სიმშილობის ნიადაგზე ხდება არეულობა.

გრძელდება მბეჭდავთა გაფიცვა. გაზეთები არ გამოდიან ,,ფორვერტსი‘‘ გამოდის შტრეიკბრეხერების საშუალებით,

დიუსელდორფში მოხდა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია

კომპარტიის დადგენილება

გამყიდველებთან მუშაობა შეუძლებელია

ბერლინი. 12 ნოემბერი. ტიურინგიის კომპარტიამ დაადგინა გამოვიდეს ტიურინგიის მთავრობიდან. ამ დადგენილების შესახებ გამოქვეყნებულ მოწოდებაში კომპარტია ჰკიცხავს სოციალ-დემოკრატებს.

რა ხდება ბავარიაში

„მდგომარეობა გამოურკვეველია“.

ბერლინი. 13 ნოემბ. მდგომარეობა მიუნხენში ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. არის სამი მიმართულება: 1) ნაციონალისტების მოძრაობა, რომელსაც მეთაურობს ჰიტლერი და რომელსაც ემხრობა სტუდენტობის დიდი ნაწილი; 2) კარის და ლოსოვის მომხრეები და 3) ბავარიის სახალხო პარტია, რომელიც სდგას კნილინგის კანონიერი მთავრობის პლატფორმაზე.

საალყო წესები.

ბერლინი. 12 ნოემბ. საალყო წესების შემოღების გამო კარმა აკრძალა ქუჩებში მიმოსვლა საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე. აკრძალულია ფაშისტური ორგანო „ფოლკიშერ ბეობახტერ“-ი და აგრეთვე „სამშობლო“.

საზოგადოების დახმარების გარეშე.

ბერლინი. 12 ნოემბ. პრესის წარმომადგენლების კრებაზე კარმა განაცხადა, რომ ის სავსებით გრძნობს, რომ მან დაჰკარგა საზოგადოების დახმარება, მაგრამ მას მაინც შეუძ- [illegible] განხორციელება არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში. „ყველაზე სამწუხარო არის ის, განაცხადა კარმა, რომ გერმანიის ჯარისკაცები იძულებული გახდენ სროლა აეტეხათ ნაციონალისტებისათვის“. ლოსოვის განცხადებით, მან გააფრთხილა ლიუდენდორფი, რომ რეიხსვერი არ დაუჭერდა მხარს აჯანყებას, მაგრამ ეს მოთხოვნილება არ იყო მიღებული მხედველობაში.

ჰიტლერი.

ბერლინი. 12 ნოემბ. ჰიტლერი, მსუბუქათ დაჭრილი, წავიდა როზენჰაიმში, სადაც ცდილობს განაახლოს თავისი სამხედრო ძალები. კომუნისტური გლეხობის წარმომადგენელმა, ჰიტლერის მოწინააღმდეგემ ჰიტანზერმა შეკრიბა თავისი მომხრეები და დაუპირისპირა ჰიტლეროვლებს 5000 კაცი. ჰიტლერის მთავარი ძალები თავმოყრილია როზენჰეიმში.

ფაშისტები მზად არიან ბრძოლისათვის.

ბერლინი. 12 ნოემბ. ფაშისტური რაზმები კობურგში განწყობილი არიან ბრძოლისათვის. ერჰარდტი მხარს უჭერს კარს.

ფაშისტების მთავარი შტაბი ბამბერგში აგრძელებს თავის მუშაობას.

გერმანელ ოფიცრების კავშირმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც კატეგორიულათ უარჰყოფს ლიუდენდორფისათვის წაყენებულ ბრალდებას სახელმწიფო ღალატში.

სამშობლოს დაცვის კავშირებს და აგრეთვე სხვა ფაშისტურ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გამოურკვევიათ მათი დამოკიდებულება ჰიტლერთან, თუმცა-ღა, „ფორვერტს“-ის ცნობით, სამშობლოს დაცვის კავშირებს განზრახული აქვთ უნდობლობა გამოუცხადონ კარს და მიემხრონ ჰიტლეროვლებს.

[illegible]

ბერლინი. 12 ნოემბერი. ტევტონური „დოიჩე ცეიტუნგ“-ი სასტიკათ ილაშქრებს ჰიტლერის წინააღმდეგ და ხაზს უსვამს იმას, რომ მას არ აქვს მოძრაობის ხელმძღვანელობის უნარი.

უსახელო პროკლამაციები.

ბერლინი. 12 ნოემბერი. ბერლინში და მიუნხენში ვრცელდება უსახელო პროკლამაციები, რომლებიც კანონს გარეშე აცხადებენ ებერტს, შეიდემანს, ოსკარ კონს, ბერნჰარდტს, ტეოდორ ვოლფს და პაულ ლევის და მოითხოვენ მათ ცოცხლათ ან მკვდრათ გადაცემას ტევტონური ნაციონალური მთავრობის ხელში.

ფაშისტების ულტიმატუმი

რას მოითხოვენ.

ლონდონი. 12 ნოემბერი. „გლობ ტორონტო“-ს ბერლინელ კორესპონდენტის ცნობით, ფაშისტურმა კავშირმა „ფატერლანდმა“ მიმართა კარს ულტიმატიური მოთხოვნილებით კნილინგის კაბინეტის დაუყოვნებლივ გადადგომის შესახებ. ულტიმატუმში მოითხოვს, აგრეთვე, ამნისტიას ჰიტლერის რაზმებისათვის, გარდა თვით ჰიტლერისა, და ბავარიის ლანდტაგის დათხოვნას.

კარის წინააღმდეგ

გაიმართა მასიური დემონსტრაციები კარის წინააღმდეგ. დემონსტრაციები გამართული იყო ჰიტლერისა და ლიუდენდორფის საპატივსაცემლოთ. „მიუნხენ ნოისტე ნახრიხტენ“-ის რედაქციაში, რომელმაც გალაშქრა ჰიტლერის აჯანყების წინააღმდეგ, დაამტვრიეს ფანჯრის მინები.

სტუდენტთა კრებამ უნდობლობა გამოუცხადა კარს; უნივერსიტეტის რექტორმა ნება დართო სტუდენტებს ჰიტლეროველების დასაფლავების დროს გამოეკიდათ ჰოგენცოლლერთა დროშა.

საზოგადოებრივი აზრი კარის წინააღმდეგ არის განწყობილი.

ბერლინი. 12 ნოემბერი. მიუნხენში დიდი აღშფოთებაა კარის წინააღმდეგ. დღეს ქალაქის ქუჩებში დემონსტრატიულათ დადიოდენ ჰიტლერის რაზმები. ჯერ შეუმოწმებელ ცნობებით, ფაშისტებსა და პოლიციის შორის რამოდენიმე შეტაკება მოხდა.

„დიადი და ღირსეული ადამიანი“.

ბერლინი. 12 ნოემბერი. კარი ახალ მოწოდებაში აცხადებს, რომ მიუხედავათ მომხდარ ამბებისა, ლიუდენდორფი „დიადი და ღირსეული ადამიანია“, რომელიც ჰიტლერმა შეცდომაში შეიყვანა.

კარი მერყეობს.

ბერლინი. 12 ნოემბ. უკანასკნელ ამბების გამო, კარის მდგომარეობა ძლიერ შეირყა. ბავარიის სახალხო პარტიას სურს მოახდინოს კარის თანამდებობის,—გენერალურ სახელმწიფო კომისრის ადგილის,—ლიკვიდაცია. ის ნაციონალისტური კავშირებიც კი, რომლებსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ბაუერი და რომლებიც მხარს უჭერენ კარს, ვერ მალავენ თავის უკმაყოფილებას კარის უკანასკნელ მოქმედებებით. მოსახლეობა მტრულად ეპყრობა რეიხსვერს და პოლიციას. იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები აფურთხებდენ რეიხსვერს და პოლიციას. ნაციონალისტების მთელი სიმპატია ჰიტლერის მხარეზეა. შეირყა აგრეთვე თვით ბავარიის მთავრობის მდგომარეობაც. ბავარიის სახალხო პარტიაში გაჩნდა ძლიერი მიმართულება, რომელიც მოითხოვს კნილინგის გადადგომას და ბავარიის პრემიერათ ვინტერშტეინის დანიშვნას.

შტრეზემანის მთავრობა ,,ბრძოლის ველზე“

გაფიცულებისათვის სამსახურიდან დათხოვნით იმუქრებიან.

ბერლინი. 11 ნოემბერი. სახალხო პარტიის კონფერენციაზე ჰალეში შტრეზემანი შეეხო უმუშევრობის საკითხს და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ეკონომიურ კატასტროფისათვის მთელი პასუხისმგებლობა მუშაკავშირებს აწევთ. შემდეგ შტრეზემანმა განაცხადა, რომ მთავრობა მიიღებს ენერგიულ ზომებს მბეჭდავთა გაფიცვის წინააღმდეგ და თუ მუშაობა ხვალისათვის არ განახლდა, გაფიცულები სამსახურიდან იქნებიან დათხოვნილი.

სექტი აშინებს გაფიცულებს.

ბერლინი. 11 ნოემბერი. გენერალმა სექტმა მოითხოვა დაუყოვნებლივ მუშაობის განახლება სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციაში და დაემუქრა მოსამსახურეების მასიური დათხოვნით იმ შემთხვევაში, თუ ორშაბათს დილით არ იქნება განახლებული მუშაობა.

არეულობა და გაფიცვები

პოლიციის შეტაკება უმუშევრებთან.

ბერლინი 13 ნოემბ. კოტბუსში (ბრანდენბურგი) პოლიციას შეტაკება ჰქონდა უმუშევრებთან, რომლებმაც გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია დახმარების მიუცემლობის გამო.

მღელვარება ბრესლავლში.

ბერლინი. 11 ნოემბ. ბრესლავლში უმუშევრებმა დაარბიეს სასურსათო მაღაზიები. ხდება მასიური დაპატიმრებანი.

მღელვარება უსურსათობის ნიადაგზე იენაში.

ბერლინი 11 ნოემბერი. იენში დარბეულია სასურსათო მაღაზიები. ქალაქი დაკავებულია რეიხსვერის ნაწილების მიერ, ხდება მუშების მასიური დაპატიმრება.

მბეჭდავების გაფიცვა გრძელდება.

[illegible] მბეჭდავების კავშირმა მოითხოვა სამუშაო ხელფასის დაწესება ოქროს ანგარიშით კვირაში 25 მარკის რაოდენობით. მომრიგებელმა კამერამ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს მბეჭდავების მოთხოვნილება მხოლოდ 24 პროცენტის რაოდენობით. გაფიცვა გაზეთების სტამბებში გრძელდება. გამოდის მხოლოდ „ფორვერტს“ ი და „დოიჩე ცეიტუნგ“-ი, რომელთა სტამბებში მუშაობენ შტრეიკბრეხერები. გამოდის აგრეთვე კომპარტიის არალეგალური ორგანო. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია, გენერალ სეკტის მიერ მოსამსახურეების მასიური დათხოვნით დამუქრების გამო, ორშაბათს შეუდგა მუშაობას.

შავ ბანაკში

გალაშქრება კომპარტიისა და სოციალ-დემოკრატიულ გაზეთების წინააღმდეგ.

ბერლინი. 12 ნოემბერი. კარმა დაშლილათ გამოაცხადა კომუნისტური პარტია ბავარიაში და აკრძალა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული გაზეთები.

საპატიო ტუსაღი.

ბერლინი. 12 ნოემბერი. ლიუდენდორფს დარაჯობენ „საპატიო დარაჯები“. მას მინიჭებული აქვს გასვლის თავისუფლება.

ჰიტლერის დატუსაღება.

ბერლინი. 12 ნოემბერი. ჰიტლერი დატუსაღა ბავარიის ხელისუფლებამ შტაფელდში. დატუსაღების დროს მას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ვერ ისვენებენ.

ბერლინი. 12 ნოემბერი. მიუნხენიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ბავარიის ბურჟუაზია ემხრობა ჰიტლერს და ის წინააღმდეგია კარის დიქტატურის.

ქუჩებზე თავს იყრის ხალხი, რომელიც მსჯელობს შექმნილ მდგომარეობაზე. რეიხსვერი ძლივს-ძლივობით ახერხებს წესრიგის დაცვას ქუჩებზე.

ხელს არ აძლევს.

ბერლინი. 12 ნოემ. მიუნხენის ამბების შემდეგ ბავარიის და ჩრდილოეთ გერმანიის მრეწველებმა შესწყვიტეს ფინანსების გაცემა საიდუმლო სამხედრო კავშირებისათვის. ამის გამო ტევტონურმა პარტიამ დაითხოვა

პრესა

წინააღმდეგ სოც.-დემოკრატებისა და მათ დაუხმარებლად

რევოლიუციონური გამოსვლების საბოტაჟმა, რომელსაც სისტემატიურათ ეწევა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ფრთა, ძალაუნებურად დააყენა საკითხი კომუნისტების დამოუკიდებლად მოქმედების შესახებ. ბერლინის გაზეთი „როტე ფანე“ (27 ოქტომბერი), ორგანო კომპარტიისა თავის მეთაურ წერილში, რეფორმისტების ღალატის შესახებ, სწერს ამის გამო, სხვათა შორის, შემდეგს:

> „როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისა და აგრეთვე პროფკავშირების ბელადების აღმაშფოთებელმა ღალატმა (რაც კომუნისტებს სრულიადაც არ გაჰკვირვებიათ), შეიტანა მუშათა კლასის ზოგიერთ წრეებში დაბნეულობა და **დროებით შეაფერხა პროლეტარიატის თავდაცვითი ბრძოლა.** მაგრამ ამ დაბნეულობას, პროლეტარული ფრონტის ამ შერყევას ბოლო მოეღება, ჩვენ შევსძლებთ დავსძლიოთ ეს მდგომარეობა. პროფკავშირებისა და სოც.-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ინსტანციების ეს ღალატი ვერ აიძულებს კომპარტიას გადაუხვიოს თავის გზას. ხოლო ის იძულებულია ახლა, როგორც პარტია, გამოვიდეს დამოუკიდებლათ, ერთით, მაგრამ მთელი პროლეტარიატის დახმარებით და ამნაირათ უხელმძღვანელოს გერმანიის პროლეტარიატის შეურყეველ ბრძოლას. ის ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს ბრძოლა დაათავოს გამარჯვებით“. (ხაზგასმულია გაზეთის მიერ).

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ამ გზას იძულებულია დაადგეს კომუნისტური პარტია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალშიაც არ შეეცდება ის საერთო ფრონტისათვის ბრძოლას. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ამ ფრონტის საბოტაჟი, სოციალ-დემოკრატების ბელადების მხრივ, ვერ შეაჩერებს კომპარტიას დაიწყოს გამოსვლები წინააღმდეგ თვით ამ მოღალატე ბელადებისა და მუშათა მასების დახმარებით. მათთან ერთად—თუ ისინი მომხრეები იქნებიან გამოსვლის; მათ დაუხმარებლათ—თუ გვერდზე გადგებიან; მათ წინააღმდეგ—თუ კი ისინი ხელისშემშლელი გამოდგენ რევოლიუციონური ბრძოლის — ამ გზით ივლის კომპარტია. ბოლოს და ბოლოს კომპარტიას აქვს გადასაჭრელი უდიდესი ამოცანა: მან უნდა შეაგნებინოს მშრომელთა მასებს, რომ „არაფერი სახეირო არა გამოვა-რა ნაზარეთიდან“, რომ საჭიროა სოც.-დემოკრატიის გავლენის სრული განადგურება.

თავისი მოსამსახურეთა სამი მეოთხედი ნაწილი.

გუშინ ბერლინში შესდგა როსბახის კავშირთა საიდუმლო თათბირი, რომელზედაც აღნიშნული იყო, რომ დიდი შეიარაღებულ გამოსვლის მოწყობა პრუსიაში, ფულის უქონლობის გამო, შეუძლებელია.

ახალი მთავრობის „ძებნაში"

პირველი ფაშისტური მერცხალი.

ბერლინი. 11 ნოემბ. შინაგან საქმეთა ახალი საიმპერიო მინისტრი—იარრეს არის უპარტიო, რომელიც ნაციონალისტებს ემხრობა.

მაძღარნი მოითხოვენ რეიხსტაგის მოწვევას.

ბერლინი. 11 ნოემბ. ორშაბათს გაიმართება რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პრეზიდიუმის თათბირი პოლიტიკურ მდგომარეობის განსახილველად. როგორც გადმოგვცენ, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ რეიხსტაგის დაუყოვნებლივ მოწვევას.

დემოკრატებიც კი გარკვეულ პოლიტიკას მოითხოვენ.

ბერლინი. 11 ნოემბ. დემოკრატიულ პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა მოსთხოვოს მთავრობას გარკვეული, არა ორაზროვანი „პოლიტიკის" წარმოება. დემოკრატებმა შეუძლებლად აღიარეს აწარმოონ მოლაპარაკება იმ პარტიებთან, რომელნიც არ დგანან ვეიმარის კონსტიტუციის პლატფორმაზე.

კრონპრინცი და გერმანიის მთავრობა

კრონპრინცის მეგობრული მიღება.

ბერლინი. 12 ნოემბერი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ყოფილი კრონპრინცი ჩავიდა სილეზიაში. გუშინ მან ღამე გაათია პილდეგეიმში. მიუხედავათ იმისა, რომ პირობა დასდო, იმის შესახებ რომ არ გაჩერდებოდა ბერლინში და პოტსდამში, ბერლინში კრონპრინცისათვის მაინც მომზადებულია ბინა.

ნებართვა მისცა შტრეზემანმა.

ლონდონი. 11 ნოემბერი. „გლობ ტორონტო"-ს ბერლინის კორესპონდენტის ცნობით კრონპრინცს გერმანიაში შესვლის ნებართვა მისცა გერმანიის მთავრობამ შტრეზემანის დაჟინებითი მოთხოვნილების გამო; შტრეზემანი ამტკიცებდა, რომ კრონპრინცი წინააღმდეგობას გაუწევს მიუნხენის მონარქისტებს, რომელნიც თავს იყრიან ბავარიის კრონპრინც რუპრეხტის გარშემო. შტრეზემანის წინააღმდეგ გაილაშქრეს, უმთავრესად, სოციალ-დემოკრატებმა.

შტრეზემანი იცავს თავის პროტეჟეს.

პარიზი. 12 ნოემბერი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობა კრონპრინცის გერმანიაში დაბრუნებას სთვლის ვერსალის ხელშეკრულების დარღვევათ და ის წინადადებას მისცემს მოკავშირეებს გამოვიდნენ მოთხოვნილებით კრონპრინცის გერმანიიდან გადასახლების შესახებ. ელჩთა კონფერენცია თავის უახლოეს სხდომაზე განიხილავს ამ საკითხს. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის საქმეთა რწმუნებულს პარიზში დაევალა განუცხადოს ელჩთა კონფერენციას, რომ გერმანიის მთავრობამ ვერ იპოვა საკმაო იურიდიული საფუძვლები იმისთვის, რომ უარი ეთქვა კრონპრინცისათვის გერმანიაში დაბრუნებაზე, რადგან ის გერმანიის ქვეშევრდომია.

ანტანტის პოზიცია

მოკავშირეები და ლიუდენდორფის დამარცხება.

პარიზი. 12 ნოემბ. საფრანგეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლიუდენდორფის დამარცხება მაინც ვერ გაამაგრებს შტრეზემანის პოზიციას.

ელჩთა კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო პუანკარეს მიერ ბავარიის ამბებთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევათ, მიიღო რა ცნობა ლიუდენდორფის დამარცხების შესახებ, გადასწყვიტა თავი შეიკავოს გერმანიის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან.

პუანკარესადმი თანამგრძნობ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთი არ უნდა ჩაერიოს გერმანიის შინაურ საქმეებში და მთელი ძალღონე და ყურადღება მიაქციონ საოკუპაციო ოლქების ექსპლოატაციას. საოკუპაციო ოლქებში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა სამხედრო [illegible]სის წარმომადგენილებს, რომ პასიური წინააღმდეგობა საბოლოოთ არის შეწყვეტილი. მაქინომ იმედი გამოსთქვა, რომ სტინესი და ტისენი მიბაძავენ კრუპის მაგალითს და ხელშეკრულებას დადებენ საოკუპაციო ხელისუფლებასთან.

ანტანტას ეშინია სარევანშო ომის

ლონდონი. 11 ნოემბ. ლიუდენდორფის და ჰიტლერის დამარცხების შესახებ ცნობის მიღებამდე, საფრანგეთი და ინგლისი აწარმოებდენ მოლაპარაკებას იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიკავებენ მოკავშირეები გერმანიაში მონარქიულ გადატრიალების შემდეგ. საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა რომ ის ჩაერევა გერმანიის საქმეებში, თუ იქ გადატრიალება მოხდა.

ინგლისმა უპასუხა, რომ ის შეუერთდება საფრანგეთის პოლიტიკას, მაგრამ შეძლებისდაგვარად თავს შეიკავებს აქტიურ გამოსვლებისაგან.

საფრანგეთის ელჩის მოლაპარაკება შტრეზემანთან.

ბერლინი. 11 ნოემბ. საფრანგეთის ელჩმა ბერლინში ინახულა კანცლერი შტრეზემანი და აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა ძლიერ სწუხს გერმანიაში მომხდარ ამბების გამო, ვინაიდან ეს ამბები გამოიწვევენ მემარჯვენე დიქტატურის დამყარებას, რომელიც საფრანგეთის მთავრობის აზრით დაარღვევს ვერსალის ხელშეკრულებას და მოამზადებს სარევანშო ომს.

ელჩმა შენიშნა, რომ საფრანგეთი სრულიადაც არ ფიქრობს გერმანიის შინაურ საქმეებში ჩარევას.

შტრეზემანმა განაცხადა, რომ მართვა-გამგეობის ფორმის საკითხი არის გერმანიის შინაური საქმე და გერმანიის საიმპერიო მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა გერმანიის სახელმწიფოების ავტონომიის გაფართოებას.

შტრეზემანმა ხაზი გაუსვა, რომ უკიდურეს ტენდენციების გაძლიერება არის გერმანიის ეკონომიურ კატასტროფის შედეგი, რომლის თავიდან აშორება შეეძლო საფრანგეთის მთავრობას. მიუნხენის ამბებმა, შტრეზემანის სიტყვით დაამტკიცეს, რომ საიმპერიო მთავრობა საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს.

ექსპერტების კონფერენციის გარშემო

„ლოიალობა".

პარიზი. 10 ნოემ. საფრანგეთის მთავრობამ, იზოლიაციის შიშით დაიჭირა უფრო შემარიგებელი პოზიცია ექსპერტების კონფერენციის კომპეტენციის შესახებ.

გაზეთების ცნობით, საფრანგეთის ელჩს ვაშინგტონში წინადადება მიეცა არ გაილაშქროს ექსპერტების კონფერენციის კომპეტენციის გაფართოების წინააღმდეგ.

საფრანგეთის მრეწველთა წრეები „ჟურნალ ინდუსტრიელ"-ი ურჩევს საფრანგეთის მთავრობას უდიდესი სიფრთხილე გამოიჩინოს ინგლისის პოლიტიკის გამო, რომელიც ცდილობს განაცალკევოს საფრანგეთი.

მთავრობის „ზომები"

პროდუქტების გაძვირება.

ბერლინი. 13 ნოემბერი. სურსათ-სანოვაგის საზღაპროთ გაძვირების გამო, ბერლინის ბირჟაზე საგრძნობი ხდება პროდუქტების სიმცირე. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ფასები ხორცზე და ძეხვზე გაიზარდა 100 პროცენტით. რეინლანდიდან იტყობინებიან, რომ გირვანქა ხორბალი ღირდება 2 მილიონათ.

ვალიუტის სტაბილიზაცია.

ბერლინი. 13 ნოემბერი. გენერალმა სეკტმა გასცა ბრძანება, რომლითაც გერმანიის ცალკე სახელმწიფოებს, პროვინციებს და თემებს, უფლება ეძლევათ გამოუშვან საკუთარი მტკიცე ვალიუტა.

დაპყრობილ ოლქებში

სეპარატისტებმა საბოლოოთ დაიკავეს პფალცი.

ბერლინი. 12 ნოემბ. საფრანგეთის ხელისუფლების დახმარებით სეპარატისტებმა დაიკავეს ქალაქი შპეიერი, რითიც საბოლოოთ დაიპყრეს პფალცის ოლქი.

გერმანიის ხელისუფლებამ მიმართა საფრანგეთის გენერალს დე მეცს პროტესტით. მიუხედავათ ამისა, სეპარატისტების მიერ დაკავებულ მთავრობის შენობებს იცავენ საფრანგეთის ჯარისკაცები—მარაკოელები.

უმუშევართა ფართო დემონსტრაცია.

ბერლინი. 12 ნოემბ. დიუსელდორფში შესდგა უმუშევართა ფართო დემონსტრაცია. ქალაქის თვითმმართველობა უმუშევრების დასამშვიდებლათ იძულებული შეიქნა ბრძანება გაეცა უმუშევრებისათვის სურსათის მიცემის შესახებ.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ვიატკელი გლეხები ეხმარებიან გერმანიის მშრომელ ხალხს.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. პარასკევს გაიმართა საზეიმო სალამო ვიატკელ გლეხკაცობის დელეგატების პატივსაცემად, რომელთაც ჩამოიტანეს პური და საჩუქრები გერმანიის მშრომელი ხალხისათვის. ზეიმს დაესწრნენ მუშები და სხვადასხვა ქვეყნის ემიგრანტები. ამხ. მარხლევსკიმ აღნიშნა ამ ზეიმის მნიშვნელობა და მუშათა საერთაშორისო დაახლოვება.

გერმანიის პროლეტარიატის სახელით ილაპარაკა კლარა ცეტკინმა, რომელმაც მადლობა გამოუცხადა ვიატკელ გლეხობას დელეგაციას გერმანიის დამშეულ მუშათა დახმარებისათვის და აღნიშნა, რომ გერმანიის პროლეტარიატი, ბურჟუაზიის დამარცხების შემდეგ, სამაგიერო მადლობას გადაუხდის მათ გაჭირვების დროს აღმოჩენილ დახმარებისათვის. ვიატკელმა დელეგატმა კრინიცკიმ განაცხადა, რომ რუსეთის პროლეტარიატი მხოლოდ თავის მოვალეობას იხდის გერმანიის პროლეტარიატის წინაშე იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაგვიწია თეთრგვარდიელ პოლონეთის შემოსევის დროს.

საფრანგეთი.

ახალგაზრდების კომკავშირი მზათ არის იბრძოლოს გერმანიის პროლეტარიატთან ერთად.

პარიზი 10 ნოემბერი. საფრანგეთის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ მიმართა გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით, რომელშიაც გამოსთქვამს თავის სოლიდარობას გერმანიის მუშებთან და აცხადებს, რომ მზად არის იბრძოლოს გერმანიის პროლეტარიატთან ერთად მუშათა კლასის საქმისათვის.

Ko...

პოლონეთის ამბები

კრაკოვის აჯანყების მსხვერპლთა დაკრძალვამ დიდი საპროტესტო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 100 000 კაცი.

მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობს მუშების წინააღმდეგ. სამსახურიდან დათხოვნილია 2.000 რკინისგზელი.

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ უკანასკნელი ამბების შესახებ გამოუშვა ორჭოფული მოწოდება.

აღშფოთებული მასის ზეგავლენით

ვარშავა. 12 ნოემბ. უკანასკნელი ამბების დროს პოლონეთის სოციალისტების მოღალატურ პოლიტიკით გამოწვეულ მასის აღშფოთების გამო პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ბრალსა სდებს კომუნისტებს შტრეიკბრეხერობაში საყოველთაო გაფიცვის დროს და მყვირალა ფრაზებით აკრიტიკებენ მთავრობას და მოითხოვენ, რომ მან ასრულოს დაპირება და გაფიცულ მუშების წინააღმდეგ რეპრესიები შეაჩეროს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია დაუღალავად მუშაობდა ჯარის შესაქმნელად და არა ჰსურს, რომ ჯარი იბრძოდეს მუშების წინააღმდეგ. მოწოდება თავდება ლოზუნგით კრაკოვის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად და არავითარ განსხვავებას არ აძლევს განწირულ მუშებს, ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომლებიც ესროდენ მუშებს.

კრაკოვის მსხვერპლთა დაკრძალვა.

ვარშავა. 12 ნოემბერი. კრაკოვის აჯანყების დროს დაღუპულ 11 მუშის დაკრძალვა დიდებულ დემონსტრაციად გადაიქცა. მოაწყდა მრავალრიცხოვანი დემონსტრანტი მუშები, უმთავრესად რკინისგზელნი მთელის გალიციიდან. 2 ვერსის მანძილზე გაჭიმულ მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა 100000 მუშა. ექსცესების ასაცილებლად პროცესიის გზაზე ყველგან მოხსნეს სადარაჯოზე მდგარი პოლიციელები.

გაფიცვა ბორისლავლში.

ვარშავა. 12 ნოემბერი. სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ, ბორისლავლის რაიონში მუშებმა დაიწყეს სამუშაოზე დაბრუნება. ბორისლავლში გაფიცვას გაფთრებული ხასიათი ჰქონდა. გარდაიცვალა მესამე მუშა, რომელიც ბორისლავლში გაფიცვის დროს მომხდარ სროლაში დაიჭრა.

რეპრესიები გრძელდება.

ვარშავა. 12 ნოემბერი. რეპრესიები მუშების წინააღმდეგ მთელს სახელმწიფოში გრძელდება. რკინის გზის ხელისუფლება შეუდგა რკინისგზელთა გაწმენდას. პოზნანში 1500 რკინისგზელი დაითხოვეს, ვარშავაში—200, ბრესტ-ლიტოვსკში უკან აღარ მიიღეს რკინისგზის მუშები.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესი

ლოზანა. 12 ნოემბერი. ვოროვსკის მკვლელის პროცესზე დაკითხულ იქნენ მთელი რიგი შვეიცარიელ მოქალაქეებისა, რომლებმაც დაჰკარგეს ქონება რუსეთში და ამის გამო ვერ მოუნელებიათ საბჭოთა ხელისუფლება.

შაბათის სხდომაზე ერთმანეთს შეეტაკენ გენერლები დობროვოლსკი და დოსტოვალოვი ერთის მხრით, და სერბიაში ვრანგელის გენერალურ შტაბის უფროსი გენერალი კრეიტერი, მეორე მხრივ.

კრეიტერი იცავდა თეთრ ტერორს და მთელ რიგ შეურაცყოფებს აყენებდა დოსტოვალოვს.

უკანასკნელმა, ამის საპასუხოთ, გამოაჟღავნა თეთრი გენერლების მოღვაწეობა სერბიაში და პარიზში და აღნიშნა მათი ხელგაშლილი ცხოვრება რუსეთის ხალხისაგან მოპარულ ფულით. კრეიტერმა აღნიშნა გენერალურ შტაბის სიმპატია კონრადისადმი. დობროვოლსკიმ პასუხათ განაცხადა, რომ ის ძველი გენერალია, მაშინ როდესაც კრეიტერი იმ ბანდიტურ გენერლების წრიდანაა, რომლებსაც ვრანგელი დუჟინობით უშვებდა. სასამართლოს თავმჯდომარემ უარყო სამოქალაქო მომჩივანის დიკერის თხოვნა, რომელმაც იტალიელ მინისტრის დი-ჩეზაროს დაკითხვის დროს განაცხადა მკვლელის წინააღმდეგ გამოსვლის სურვილი.

მოწმე ბარო კითხულობს მოსკოვის მენშევიკების მოწოდებას კომპარტიის წინააღმდეგ. ჩლენოვი მენშევიკების განცხადებებით ასაბუთებს, რომ სოციალ-დემოკრატები გმობდენ ვოროვსკის მკვლელობას.

რუსეთი და ევროპა

საფრანგეთი.

ს. ს. რ. კავშირის ცნობა უახლოეს დროის საკითხია.

მოსკოვი. 12 ნოემბერი. პარიზში დაბრუნდა საფრანგეთის მრეწველობის—ს. ს. რ. კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განახლების მომხრეების წარმომადგენელი დელეგრანჟი, რომელმაც „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ პარიზში დაბრუნებისას მას სურს გააცნოს საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოების ფართო წრეებს მისი მუშაობის შედეგები, რუსეთის აღმშენებლობითი მუშაობის შესწავლის სფეროში, აგრეთვე თავისი პროექტები რუსეთში საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის, საფრანგეთ-რუსეთის შერეულ საზოგადოებების დაარსების და კონცესიის სახით საფრანგეთის კაპიტალის გამოყენების შესახებ.

დელეგრანჟმა იმედი გამოსთქვა, რომ მისი მეგობრები შესძლებენ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის გადახრას რუსეთთან დაახლოვებისაკენ. და განაცხადა, რომ საფრანგეთის ოფიციალური წარმომადგენლის დანიშვნა ს. ს. რ. კავშირში მოხდება გაცილებით უფრო ადრე, ვინემ მომავალ წელს, ყოველ შემთხვევაში პარლამენტის არჩევნებამდე.

ინგლისი

რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების დიდი საჭიროება.

ლონდონი. 12 ნოემბერი. ს. ს. რ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილემ ინგლისში „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთთან განხეთქილებას შეუძლია სერიოზული აღშფოთების გამოწვევა ინგლისში.

სამეურნეო ქაოსმა გერმანიაში ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ნორმალური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან, ინგლისის მრეწველობის და განსაკუთრებით გემების აღმშენებლობის და საფეიქრო წარმოების გამოცოცხლების მიზნით.

რუსეთთან დამოკიდებულების შეცვლას გამოეხმაურა ინგლისის თითქმის მთელი პრესა. „რუსეთის ინგლისელ კრედიტორების საზოგადოება" იხრწნება. ამ საზოგადოების სხდომაზე 1 ნოემბერს გამოქვეყნდა წერილი მისი თავმჯდომარის ურხარდტის, რომელიც უარს ამბობს საზოგადოებაში მონაწილეობაზე. ურხარდტის და მისი დახმარების გარეშე საზოგადოება გაიყრება.

ელექტრონის სადგურების მოსაწყობათ დაკვეთების მიღების შესახებ, ინგლისთან საქმიანი დამოკიდებულებით, ჩვენ მივიღეთ საქონელის 60 პროცენტი 5—7 წლიანი კრედიტით.

რუსეთის პურის ექსპორტისათვის „რუსეთ-ბრიტანეთის პურის საზოგადოების" მოწყობამ 1 მილ. გირ. სტერლინგის კაპიტალით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ნიადაგი მოუმზადა მომავალისათვის უფრო სერიოზულ მოლაპარაკებას.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

სრული გამარჯვება აპრაქსინის ბაზრის მოსამსახურეთა.

პეტროგრადი. 12 ნოემბ. აპრაქსინის ბაზარზე გაფიცვა დასრულდა მოსამსახურეთა სრული გამარჯვებით. პატრონები იძულებული გახდნენ კოლექტიური ხელშეკრულება დაედოთ მათთან.

ომის წინანდელი სისწრაფე სამგზავრო მატარებლებისა

ჩიტა. 12 ნოემბ. შორეულ აღმოსავლეთის რკინის გზებზე მატარებლების სისწრაფე ომის წინანდელ დროისას გაუთანასწორდა. ვლადივოსტოკ მოსკოვის მატარებელი 11 დღე-ღამე უნდება გზას, წინანდელ 14 დღის ნაცვლად.

გემების დაბრუნება.

ოდესა. 12 ნოემბ. სტამბოლიდან ჩამოსულ გემ „კრასნოდარ"-ის კომანდის წარმომადგენელი იუწყება, რომ სტამბოლში მყოფი რუსეთის გემი „კოროლევა ოლგა" გადაეცემა საბჭოთა მთავრობას და ოდესაში მოიყვანენ. ამას გარდა სტამბოლში მდგარი რუსეთის გემი „რუმიანცევი" და „ტარას ბულბა". გემი „არარატი" თეთრგვარდიელებს მიუყიდიათ უცხოეთის კომპანიისათვის. ჰიდროგრაფიული გემი „ყაზბეგი"-ი „რანდინო"-დ წოდებული, იტალიის ბაირაღით დასცურავს. სტამბოლში ჩარჩენილმა თეთრგვარდიელებმა ყოველივე პრესტიჟი დაჰკარგეს და არავითარ როლს აღარ თამაშობენ ბევრი მათგანი სტამბოლის ქუჩებში ვაჭრობას ეწევა.

პოლიტიკურ ემიგრანტების დაბრუნება პოლონეთიდან

მინსკი. 12 ნოემბ. დიდძალი პოლიტიკური ემიგრანტობა მოდის პოლონეთიდან. ბელორუსიის წითელ ჯვრის საზოგადოება ემიგრანტებისათვის აწყობს საერთო ბინებს და სამუშაოს ეძებს მათთვის.

უკრაინულ ენაზე გადასვლა.

ხარკოვი. 12 ნოემბ. 1 იანვრიდან ხარკოვის გუბერნიის საბჭოთა აპარატები უკრაინულ ენაზე გადავლენ.

საჰაერო ფლოტის შექმნისათვის

ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ შემოწირულებათა შეგროვებას წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად.

საჰაერო ფლოტის მეგობართა ამიერ-კავკასიის საზოგადოების საბჭოს დადგენილების თანახმად ს. ფ. მ. ა.-კ. საზოგადოების პრეზიდიუმი მიმართავს თხოვნით ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ შემოწირულებათა შეგროვებას, საფრენი აპარატების შეძენის მათი სისტემის გამორკვევის და ექსპლოატაციის ერთიანი გეგმის შექმნის მიზნით—საფრენი აპარატების შეძენის საკითხში წინასწარ შეუთანხმდენ ს. ფ. მ. ამიერ-კავკასიის საზოგადოების პრეზიდიუმს.

აღნიშნულმა გარემოებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუშალოს ხელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად შემოწირულებების ენერგიულათ შეგროვებას.

ს. ფ. მ. ს. საბჭოს თავმჯდომარე
ათარბეკოვი.

ს. ფ. მ. ა.-კ. საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, პასუხისმგებელი მდივანი **ივანიანი.**

ყველა დაწესებულებებს, პროფკავშირებს, კოოპერატიულ გაერთიანებათ და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ შემოწირულებათა შეკრებას წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად.

„მშრომელო ხალხო, ააშენე საჰაერო ფლოტი".

საჰაერო ფლოტის შექმნის საქმე განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში, როცა ამბები ევროპაში ელვისებური სისწრაფით ვითარდებიან, უფრო მნიშვნელოვან ხასიათს იღებს. ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა ამოცანას შეადგენს მთელი თავისი ძალებით და საშვალებებით ხელი შეუწყონ წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად საშვალებების შეგროვებას.

წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად ამას წინათ დაწყებულმა კამპანიამ საუკეთესო გამოძახილი ჰპოვა მშრომელთა ფართე მასებში. სულ მოკლე ხანში ძლიერ დიდი თანხები იქნა შეგროვილი.

უკანასკნელ ხანებში აღნიშნული კამპანია რამდენიმეთ მიდუმდა, საშვალებების შეგროვება კი ცოტათი შესუსტდა.

უწევს რა ანგარიშს წითელი საჰაერო ფლოტის რაც შეიძლება დაჩქარებით შექმნის მნიშვნელობას, საჰაერო ფლოტის მეგობართა ამიერ კავკასიის საზოგადოება მიმართავს ყველა ორგანიზაციებს და პირებს—განაახლონ შემოწირულებათა შეგროვება წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად.

საჰაერო ფლოტის მეგობართა ამიერკავკასიის საზოგადოების პრეზიდიუმი:
ათარბეკოვი, გ. სტურუა, ამბარცუმიანი, მუსაბეკოვი, ეგოროვი, ივანიანი და ჩერვენკო.

ჯანმრთელობის კომისარიატის რეორგანიზაცია.

მოსკოვი. 12 ნოემბ. ჯანმრთელობის კომისარიატი სასწრაფოდ ახდენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციას. კომისარიატი 6 სამმართველოდ ნაწილდება: მთავარი სამხედრო-სასანიტარო, მთავარი საკურორტო, საადმინისტრაციო, და გზათა უწყების სასანიტარო და მედიკო სასანიტარო. ამ უკანასკნელ 4 სამმართველოში იქნება თავმოყრილი სახალხო კომისარიატის ყველა არსებული განყოფილებანი, ქვეგანყოფილებანი და სექციები. რეორგანიზაცია 40 პროცენტით შეამოკლებს არსებულ შტატებს.

მხოლოდ კომპარტიაა მუშათა ინტერესების წარმომადგენელი.

ოდესა. 13 ნოემბერი „იზვესტიე"-ში გამოაქვეყნეს ძველი მენშევიკთა ჯგუფის წერილი, რომელშიაც ჰგმობენ საზღვარგარეთ მყოფ მენშევიკთა დელეგაციის საქციელს. წერილში აღნიშნულია, რომ მხოლოდ კომპარტიაა ნამდვილი წარმომადგენელი მუშათა კლასისა.

კონტრაბანდის დაჭერა.

მოსკოვი. 13 ნოემ. 11 თვის განმავლობაში დაჭერილია კონტრაბანდა, რომლის ღირებულება უდრის 2 ნახ. მილიონს ოქროთი. ამ რიცხვიდან დასავლეთ ოლქის წილს შეადგენს 650,000 მან., უკრაინის—606 ათას მან., პეტროგრადის—350,000 მ. და კავკასიის—160,000 მან. ოქრ.

რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების წევრთა რიცხვი.

მოსკოვი. 13 ნოემ. ვიატკის მოზრდილ ჰასაკის მოსახლეობიდან, რომლის რიცხვს 50,000 კაცი შეადგენს, 35,000 კაცი რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების წევრებია, რომლებსაც რეგულიარული გადასახადი შეაქვთ რევოლიუციის მებრძოლთა სასარგებლოთ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ოქტომბრის დღესასწაული გორის მაზრაში.

გორი. 11 ნოემბ. გორის მაზრის ყველა კუთხეებიდან იუწყებიან, რომ ყველგან გადაიხადეს ოქტომბრის დღესასწაული.

სურამში მოეწყო დიდი მიტინგი, აურაცხელ გლეხკაცობის თანადასწრებით. ქალაქი მორთული იყო.

დიდის აღფრთოვანებით ჩაიარა მიტინგმა გომში, რომელმაც დიდძალი გლეხობა მოიზიდა ახლო-მახლო სოფლებიდან.

დიდი მიტინგი ყოფილა აგრეთვე საციხურში.

დიდის აღფრთოვანებით ჩაიარა მიტინგმა ხაშურში. 6 ნოემბერს საზეიმო გაერთიანებული სხდომა გაიმართა პარტიულ მუშაკთა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთა და პროფორგანიზაციების წევრთა თანადასწრებით. მოსმენილ იქნა მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ. შემდეგ გაიმართა მოგონებათა სალამო, 1919 წელს მენშევიკების წინააღმდეგ ხაშურში მომხდარ აჯანყების მონაწილეთა.

7 ნოემბერს დიდებული მსვლელობა გაიმართა, მუშებისა და გლეხობის მონაწილეობით, პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის დაღუპულ მსხვერპლთა საძმოზე.

ამის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც, სხვათა შორის, ილაპარაკეს ყოფილმა მენშევიკებმაც.

გაიხსნა განათლების მუშაკთა სახლი. აკურთხეს ახალი ხიდი მდ. სურამულაზე, რომელსაც უწოდეს ოქტომბრის რევოლიუციის ხიდი. ეს ხიდი არის ერთი უმთავრესი ძეგლთაგანი საბჭოთა აღმშენებლობისა ხაშურში. დღესასწაულმა ჩაიარა გერმანიის რევოლიუციის ლოზუნგებით, რომელსაც დიდის აღფრთოვანებით ეგებებოდა მსვლელობაში მონაწილე უამრავი ხალხი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ასეთი დიადი დღესასწაული ჯერ არა ყოფილა აქ.

7 ნოემბერს ყველა სკოლებში მოეწყო საბავშვო დღესასწაული. შუადღისას გაიმართა დიდი მიტინგი, რის შემდეგაც მოხდა პარადი. პარადს დარაზმული მსვლელობა მოჰყვა ქალაქის ქუჩებში. მიტინგები და მსვლელობა გაიმართა აგრეთვე ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც.

ნაკაზი ტფილისის საბჭოს დეპუტატებს

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში ხელახალი არჩევნების დროს ჩვენ ვადგენთ:

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 6 წელი დასრულდა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცების ნიშნის ქვეშ. ჩვენი ს. ს. რ. კ. მტკიცეთ დადგა სამეურნეო და კულტურული აღორძინების რელსებზე. ამით მსოფლიო სოციალურ რევოლიუციას უდიდესი დამხმარე ძალა ეძლევა არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან მომენტში, როცა ახლოვდება გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლები გერმანიაში.

ს. ს. რ. კ. მშვიდობიანი პოლიტიკა, რომელსაც ვერავინ უარყოფს, კვლავ უდიდეს საფრთხეს განიცდის. ს. ს. რ. კ სურს ზავი და თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენის შესაძლებლობა, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა არაჩვეულებრივათ მწვავეთ აყენებს ს. ს. რ. კ. წინაშე ჩვენი კავშირის თავდაცვის უნარიანობისათვის ხელისშეწყობის, მისი სამხედრო და ეკონომიური ძლიერების გამაგრების ამოცანას. ამიტომ, ვიწონებთ რა საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან პოლიტიკას, ჩვენ ვავალებთ ჩვენს დელეგატებს საბჭოში მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ჩვენი კავშირი სავსებით მომზადებული იყოს იმპერიალისტების თავდასხმის შემთხვევისათვის. მომენტის ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა სავსებით ეთანხმება ს. ს. რ. კ. კულტურულად და სამეურნეო მხრივ აღსადგენათ, საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრებ ყველა ერების მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განსამტკიცებლად ჩვენი მუშაობის საერთო ხაზს.

ამ წელს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებული კავშირი მშრომელთა უდიდესი მონაპოვარია. იმ დროს, როცა დასავლეთის ბურჟუაზიული ქვეყნების კავშირები—ანტანტა და ერთა ლიგა იშლებიან, იმპერიალისტურ მტაცებლებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის გამო, საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები ერები უფრო მტკიცედ უკავშირდებიან ერთმანეთს ყველა ერების ეკონომიური და პოლიტიკური თანასწორობის ნიადაგზე.

ვიწონებთ რა საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას, ჩვენ ვავალებთ ჩვენს დეპუტატებს ხელი შეუწყონ ს. ს. რ. დიდი კავშირის ყოველმხრივ გამაგრებას და განვითარებას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ატარებს საბჭოთა ხელისუფლება უსათუოდ ხელს უწყობს საბჭოთა ქვეყნების ომის მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენას. ეს პოლიტიკა ჩვენმა დეპუტატებმა საბჭოში უნდა განაგრძონ, მაგრამ ამავე დროს საჭიროა თვალყურის დევნება, რომ მყვლეფელმა ელემენტებმა და აგრეთვე ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე აღმოცენებულმა ახალი ბურჟუაზიის ფენებმა არ გამოიყენონ ჩვენი საბჭოთა ორგანოები ექსპლოატატორული მიზნებისათვის და მუშურ-გლეხური რევოლიუციის ინტერესების საზიანოდ.

ჩვენი კლასობრივი მტრების ყოველგვარ ცდას ამ მიმართულებით, რა ფორმებშიც არ უნდა გამოიხატოს ის, საზღვარი უნდა დაედვას უსასტიკესი ზომებით. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა, რომელიც მუშაობს არაჩვეულებრივათ მძიმე პირობებში, რომლებიც შექმნეს მთელ რიგ წლების ნგრევამ, ნელის ნაბიჯით, მაგრამ მტკიცედ დგება აღორძინების გზაზე. იზრდება ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია. გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ მუშებისა და გლეხების მდგომარეობის შემდეგი გაუმჯობესება დამოკიდებულია ძირითადი საკითხის—მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ფასებს შორის შეფარდების,—წარმატებით გადაჭრაზე. მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განმტკიცების ამოცანა პირველ რიგში უნდა დაისვას.

ავღნიშნავთ რა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, ჩვენ ვავალებთ ჩვენს დეპუტატებს მიიღონ ზომები მისი ორგანოების გასამაგრებლათ შემდეგში და მათში ხარჯების შესამცირებლად.

განვლილი წლის განმავლობაში დიდი მიღწევებია გაკეთებული ფინანსიური პოლიტიკის დარგში. სახელმწიფოს შემოსავალის გადიდების და პურის და ოქროს სესხის გამოშვების გამო, მცირდება ქაღალდის ფულების ბეჭდვა.

სავსებით ვიწონებთ რა საბჭოთა ხელისუფლების ფინანსიურ პოლიტიკას, ჩვენ ვავალებთ ჩვენს წარმომადგენლებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას ამ მიმართულებით.

განვლილი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გამაგრებისათვის. მრავალრიცხოვანი გადასახადების ნაცვლად შემოღებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, შეღავათები მიეცა ხელმოკლე გლეხობას, გლეხობის უღარიბესი ფენების გადასახადისაგან სრულ განთავისუფლებამდი, მუშავდება მიწისა და სატყეო კოდექსი. და ბოლოს საბჭოთა მთავრობა თესლეულს აწვდიდა ყველაზე უფრო გაჭირვებულ რაიონებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრივ ამ დახმარების გარეშე დაიღუპებოდენ.

ჩვენ ვავალებთ ჩვენს დეპუტატებს საბჭოში მომავალშიც მთელი ძალღონით ეცადონ გადასჭრან სოფლის მეურნეობის, მთელი საბჭოთა კავშირის კეთილდღეობის ამ საფუძვლის აღდგენის ამოცანა.

ვიწონებთ რა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და მოღვაწეობას წარსულ წელში, ჩვენ ვავალებთ ჩვენს წარმომადგენლებს მტკიცედ განაგრძონ და მხარი დაუჭირონ ამ პოლიტიკას, მტკიცედ დაიცვან საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების დირექტივები და მითითებანი.

კერძოთ მომავალი წლისათვის ჩვენ ვავალებთ ჩვენს წარმომადგენლებს:

ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში.

საბჭოთა უმაღლესი ორგანოების საშუალებით მიიღონ ზომები მრეწველობის პროდუქტების გასაიაფებლად, რათა ამით საშუალება მიეცეს მშრომელთ და გლეხობას შეიძინონ მათთვის აუცილებელი საქონელი.

მიიღონ ზომები კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის განვითარებისათვის, რომელიც გარიყავდა მევახშეს და სპეკულიანტს და რაც შეიძლება მეტ სარგებლობას მისცემდა მშრომელთ. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც უშვებენ მასიური მოხმარების საგნებს.

ფინანსიურ დარგში.

ჩვენ ვავალებთ ჩვენს წარმომადგენლებს დაიცვან უდიდესი მომჭირნეობა და ეკონომია სახელმწიფო და ადგილობრივ ხარჯებში.

მიიღონ ზომები ქალაქის ქონებათა და წარმოებათა შემოსავლიანობის გასაძლიერებლათ.

უზრუნველჰყონ ყველა გადასახადების თავის დროზე და სრულად შემოსვლა.

თვალყური ადევნონ ყველა გადასახადების სწორად განაწილებას და შეკრებას, საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დეკრეტების საფუძველზე.

შექმნან სწორი ანგარიშიანობა ყველა დაწესებულებებში. მიიღონ ზომები ყველა სესხების (პურის, ოქროს) თავის დროზე და ფართედ გასავრცელებლად მცხოვრებთა შორის.

შექმნან ქალაქისა და მაზრის ბიუჯეტის მტკიცე საფუძვლები.

მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

უხელმძღვანელონ რა ტფილისის საბჭოს მოღვაწეობას მუშების მატერიალური მდგომარეობის და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

შრომის ხელფასის მიღწეული დონის განმტკიცებას და სკოლისა და მედიცინის და საერთოდ საბჭოთა დაწესებულებების ყველა მუშაკების შრომის ხელფასის დაახლოებას მრეწველობაში შრომის ხელფასის საშუალო დონესთან.

ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ პროფკავშირებს მათ საერთო მუშაობაში, კერძოთ კი მათ მიერ კოლექტიური ხელშეკრულებების დადებაში და გატარებაში, განსაკუთრებით შრომის ხელფასის გამონაგარიშების იმ სისტემის შექმნაში, რომელიც სრულიად უზრუნველყოფდა მუშებისათვის რეალურ შრომის ხელფასს.

ხელფასის გადიდება უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების დეფიციტის შემცირების და ზედდართულ ხარჯების შემცირების შედეგი.

თანამედროვე სიძვირის დროს ხელფასის მომატება არავითარ შემთხვევაში არ უნდაიყოს სიძვირის ზრდის და მრეწველობის ნაწარმოებთა ფასების აწევის მიზეზი.

სასტიკად ადევნონ თვალყური იმას, რათა ხელფასის გასტუმრება ხდებოდეს თავის დროზე დაწესებულ ვადაზე, რათა ხელფასი არ იქნას გასტუმრებული ნატურით, რომელიც მუშისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს.

გაძლიერებულ იქნას მუშაობა შრომის დაცვის სფეროში ყველა წარმოებებში, თვალყური უნდა ადევნონ შრომის კანონთა კოდექსის ცხოვრებაში გატარებას, პროფესიონალურ სანიტარიის და ჰიგიენის უზრუნველყოფის წესებების სისწორით შესრულებას, და გააძლიერონ სასამართლოს ძიება შრომის კანონთა დარღვევის ყველა შემთხვევებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის კანონთა კოდექსის გატარებას კერძო წარმოებებში.

გაუმჯობესებულ იქნას დამზღვევი კასების მუშაობის სისტემა, რათა მუშათა მიერ დახმარების და უზრუნველყოფათა მიღება მოხდეს მინიმალურ დროის დაკარგვით.

გაუმჯობესებულ და გაფართოვებულ იქნას ამბულატორიების და საექიმო დახმარების პუნქტების ქსელი, განსაკუთრებით მშობიარეთა დამხმარე პუნქტები მუშათა რაიონებში და სხ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უმუშევრობასთან ბრძოლას. ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული შრომის ბირჟებში მუშაობის დაყენების გაუმჯობესებას და უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენას, საზოგადოებრივ სამუშაოების, უმუშევართა არტელების და აგრეთვე სასადილოების, საერთო საცხოვრებლების, აბანოების, კლუბების, სამკითხველოების და სხვ. მოწყობის სახით. მიღებულ იქნას ზომები, როგორც წარმოებებში მომუშავე, ისე უმუშევარ მუშაახალგაზრდობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; გაუმჯობესებულ იქნას ფაბრიკა-ქარხნების შეგირდთა სკოლების მდგომარეობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წარმოებებში შრომის კანონთა კოდექსის იმ ნაწილის შესრულებას, რომელიც ეხება ქალებს და შეგირდებს.

მხედველობაში იქნას მიღებული კოოპერაციის თანდათანობითი ზრდა და განმტკიცება და მისი მუშაობა მიმართული იქნას მუშების მიმართ სამსახურის ფართოდ დაყენებისაკენ, რისთვისაც მუშათა და სასოფლო კოოპერატივებს უნდა გაეწიოს ყოველგვარი დახმარება.

მიღებულ იქნას ზომები კოოპერაციის მხრივ მუშებისათვის ინდივიდუალურ კრედიტების მიცემის გასაფართოებლად და განსავითარებლად.

კომუნალურ მეურნეობის დარგში.

მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები მუშათა რაიონების გასაუმჯობესებლად, და აქეთკენ იქნას მიმართული ტრამვაის, წყალსადენის და ელექტრონის სადგურების მუშაობა; მოწყობილ იქნას წყლის საზომები; მოკირწყლულ იქნას განაპირა კუთხეების ქუჩები; წარმოებულ იქნას ბრძოლა ნიაღვრების წინააღმდეგ ტყის გაშენებით.

მიღებულ იქნას ზომები მუშების უზრუნველსაყოფად ბინებით, საცხოვრებელი არეს სწორი განაწილების დაუმთავრებელ შენობების დამთავრების და არსებულ შენობების შეკეთების და მოწყობის გზით;

ენერგიულად იქნას გატარებული ცხოვრებაში საბინაო აღმშენებლობის (მუშათა მოსახლეობის, სახლების, კომუნების) გეგმა, რომელიც ნავარაუდევია მთელ რიგ წლებისათვის; ყოველგვარი დახმარება გაეწიოს საბინაო კოოპერატივებს და ამხანაგობებს, განსაკუთრებით კრედიტებით; გაწმენდილ იქნას საბინაო ამხანაგობები ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ელემენტებისაგან.

გატარებულ იქნას სასტიკი კლასიური პოლიტიკა საბინაო ქირის და კომუნალურ გადასახადების დაწესების დროს; დაწესდეს მუშებისათვის შეღავათიანი ტარიფები კომუნალურ სამსახურისათვის.

მიღებულ იქნას ზომები იმ კომუნალურ დაწესებულებათა და წარმოებათა განსავითარებლად, რომელნიც გააუმჯობესებენ მუშის ყოფა-ცხოვრებას და მუშა-ქალის განთავისუფლებას საშინაო შრომისაგან როგორიცაა: სასადილოები, საკანდიტროები, სამრეცხაოები, შესაკეთებელი და სამკერვალო სახელოსნოები. და მოწყობილ იქნან უკანასკნელები მუშათა რაიონებში და ისინი შეფარდებულ იქნან მუშებისათვის სამსახურის გასაწევად.

მიიღონ ყოველგვარი ზომები, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის არა უგვიანეს 1926 წლამდი დასამთავრებლად.

შეუდგენ რკინის გზის გაყვანას კოჯორში.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა იზრუნონ არა მარტო სამკურნალო

ოქტომბრის დღესასწაული ახალ-სენაკში.

ახალ-სენაკი. 10 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე 6 წლის თავის დღესასწაულმა აღფრთოვანებით ჩაიარა. 6 ნოემბერს ქალაქის თეატრში და რკინისგზელთა კლუბში საზეიმო მიტინგები მოეწყო, პარტიულ, პროფკავშირთა ორგანიზაციების, ახალგ. კომკავშირის, საბჭოთა მოსამსახურეების და მუშების მონაწილეობით თეატრი და კლუბი ყველა მსურველს ვერ იტევდა.

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 12 ნოემბერი. 1—3 ნოემბერს ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოღებულია 2,005,000 ფუთი ნავთი საქაჩავში მიუშვიათ 319,000 ფ. საქაჩავიდან მიღებულია 313,000 ფუთი. დაწმენდილა 65,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 173 დაზგა. ჩაბურღულია 201 საჟ.

4—5 ნოემბერს ამოღებული ათასი ფ. ნავთი. საქაჩავში მიშვებული იყო 346,000 ფ. საქაჩავიდან დაბრუნებულა 340,000 ფ დაწმენდილა—82,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 173—174 დაზგა, ჩაბურღულია 138 საჟენი.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 12 ნოემბერი. 8—9 ნოემბერს გაუტანიათ ნავთის ნაწარმოები ბაქოდან ასტრახანში 1,159,188 ფ. შავი ნავთი, 87,649 ფ. თეთრი ნავთი; ბაქოდან კრასნოვოდსკში—30,764 ფ ნავთი.

სომხეთი

დაშნაკელთა დაშლა.

გუმბრი. 11 ნოემბერი. გუმბრისა და მის მაზრაში გრძელდება დაშლა დაშნაკელ მუშებისა და გლეხების წრეში. ქალაქსა და მაზრაში იმართება მრავალრიცხოვანი კრებები და ლექციები ასეთ თემაზე: „რისთვის გავდივართ დაშნაკელთა პარტიიდან". ყოფილმა დაშნაკელ რკინისგზელებმა აირჩიეს სამეული, მუშათა შორის თვითლიკვიდაციის მოსახდენად. 18 ნოემბრისათვის არის დანიშნული სამაზრო ყრილობა ქალაქისა და მაზრის დელეგატებისა.

გუმბრიდან 15 დელეგატი იგზავნება სრულიად სომხეთის დაშნაკელთა ყრილობაზე.

კალიასთან ბრძოლა.

ერევანი. 9 ნოემბ. მიწათმოქმედების კომისარიატმა შეიმუშავა კალიასთან ბრძოლის გეგმა 1924 წლისათვის. განზრახულია გამოკვლევა მოახდინონ ზანგიზურსა, მეგრსა და აზერბეიჯანის მომიჯნავე რაიონებში. სამუშაოდ მოწვეულია აგრონომი ბაგრამიანი, რომელიც კალიასთან ბრძოლის კამპანიის მოწყობისათვის შარშან დაჯილდოვებული იყო შრომის დროშის ორდენით.

პარტიული ცხოვრება

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ

ს. კ. პ. ფოთის ორგანიზაციის 11 ნოემბრის საერთო კრებამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება გერმანიის პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის გერმანიაში სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისათვის, დაადგინა: წინადადება მიეცეს პარტიის ფოთის ორგანიზაციის ყველა წევრებს, რათა ყველა ის ძვირფასეულობა (ბრილიანტი, ოქრო, ძვირფასი ქვები ვერცხლი და სხვა), რომელიც აქვთ მათ, ჩააბარონ ერთი კვირის ვადაში პარტიულ კომიტეტს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ამასთანავე ერთად კრება იწვევს ქუთაისის, სენაკის და ზუგდიდის ორგანიზაციებს გამოიტანონ ასეთივე დადგენილება, როგორც ფოთის ორგანიზაციამ.

ფოთის ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ზემოდ დასახელებულ მაზრის ორგანიზაციები არ დააგვიანებენ პასუხს ჩვენს გამოძახილზე.

ფოთის პარტკომის მდივანი
პ. მეგრელიშვილი.

ტფ. ალმასკომის კომკავშირის უჯრედში

12 ნოემბერს 3 საათზე შესდგა ალმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედის ღია კრება, რომელზედაც პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ჭოველიძემ ალმასკომის მოსამსახურეთა ადგილკომის წარმომადგენელმა ადგილკომის მუშაობის შესახებ. შეკითხვების და კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც პირობების მიხედვით ადგილკომის მუშაობა საერთოდ ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. პროფდისციპლინა და კულტმუშაობა მოისუსტებდა, მაგრამ იმედია ადგილკომის ენერგიული მუშაობით სულ ახლო ხანში მუშაობის ეს ნაკლებიც გამოსწორებულ იქნება.

მეორე მოხსენება გააკეთა კომუნალურ მეურნეობის ალმასკომის ადგილკომის წარმომადგენელმა (პასუხისმგებელმა მდივანმა) ამხ. გოლუბევამ. მისი მოხსენება უმთავრესად ეხება უკანასკნელ თვის მუშაობას და მომავალ სამუშაო პერიოდის პროექტებს. პროექტები მოწონებულ იქნა, ხოლო წარსული მუშაობა მაინცა და მაინც ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. კულტკომისიას სძინავს—რაც იქიდანაც სჩანს, რომ თუ თანამშრომლებში დღემდის ზოგი მაინც ღებულობდა რამდენიმე გაზეთს, დღეს გაზეთები ერთსაც აღარ მოსდის.

დეფექტების გამოსასწორებლად და მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად მომავალში, საუცხოვო პროექტი არის წარმოდგენილი, რისთვისაც ვთხოვთ ამხ. პ. ბალიაშვილს (მესტკომის თავმჯდომარე —ახლად არჩეული), როგორც მუშას, თავის ხელმძღვანელობით ჩააბას ადგილკომი ენერგიულ მუშაობაში, მიიღოს ზომები, რომ შემდეგ მოხსენების დროს გვიხდებოდეს არა პროექტების მოწონება, არამედ ნამუშევარის შეფასება.

მუშკორი ნ. ხალირაშვილი.

პარტიული აღწერისათვის

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთაც არ გაუვლიათ 1923 წლ. პარტიული აღწერა, გამოცხადდინ ორი დღის განმავლობაში ა. წ. 14 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდის დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების სტატისტიკურ ქვეგანყოფილებაში.

ის ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან აღნიშნულ ვადაზე, დასჯილნი იქნებიან პარტიული წესების მიხედვით, როგორც პარტიულ ვალდებულებათა არშემსრულებელნი და ისინი მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

1-ლი რაიკომში. უჯრ. № 1—ქრივიშვილი გიორგი, უჯრ. № 2—ვირაპი, უჯრ. № 2—მირუაშვილი ბაგრატ, უჯრ. № 2—პეტრენკო იაკობ, უჯრ. № 2—სოლომონიშვილი ანტონ, უჯრ. № 2—ფარენიკი ნიკოლოზ, უჯრ. № 2—გალუსტოვი ლიუდვიგ, უჯრ. № 2—პოპოვა სალომე, უჯრ. № 4—გოზალოვი ივანე, უჯრ № 7—დუდიკოვა მარიამ, უჯრ. № 8—შერმაზანოვა პელაგია, უჯრ. № 11—ფოლადოვი არტემ, უჯრ. № 11—ადამია მამონტი— უჯრ. № 11—პაპაშვილი ზაქარია, უჯრ. № 12—მანდალიანი თათეოს, უჯრ. № 12—გელეჩიანი ლევან, უჯრ. № 13—ყარაევი ნიკოლოზ, უჯრ. № 13—ავერინი ივანე, უჯრ. № 15—ბეჟანოვი ნიკოლოზ, უჯრ. № 16—ქორიძე კლემენტი, უჯრ. № 16—ჯინორია ეფრემ

2-ე რაიკომში. უჯრ № —1 ოსიპოვი იოსებ, უჯრ. № 2—კაპანაძე გიორგი, უჯრ. № 3—სპირიდონოვი კონსტ., უჯრ. № 3—ტოროშელიძე მალაქია, უჯრ. № 3—ცაგარელი ვლადიმერ, უჯრ № 6—აივაზოვი ნიკოლოზ, უჯ № 6—პადერინი ალექსანდრე, უჯრ № 9—ფანაშვილი ივანე, უჯრ. № 12 ხარებოვი ვასილ, უჯრ. № 12—ანთიძე სარდიონ, უჯრ. № 14—მურადოვი ვართან, № 16—მენსმან ნინა, უჯრ. № 17—ცაგარელი ალექსანდრა, უჯრ. № 20—თუმანიანი მისაკ, უჯრ. № 20—ჭიაბრიშვილი ზაქარია, უჯრ. 22 ბელიმენკოვი ალექსანდრე, უჯრ. № 23—გეგეშიძე ვალიკო, უჯრ. № 23—ქევანაშვილი ქრისტეფორე, უჯრ. № 23—მაქაცარია არსენ, უჯრ. № 23—ჭანაშვილი მიხეილ, უჯრ. № 23—ჩინგულიძე გრიგოლ, უჯრ. № 23—ბაციკაძე სერგი, უჯრ. № 23—მესტიაშვილი გიორგი, უჯრ. № 23—ფანცულაია ვასილ, უჯრ. № 23—ესკინია ათანასე, უჯრ. № 24—პოლივანოვი მიხეილ, უჯრ. № 24 ფერიაშვილი ნიკოლოზ, უჯრ. № 25—ბახტიაროვი სერგი, უჯრ. № 25—კალანდაძე ბენედიქტე, უჯრ. № 26—ჩაპლინი ნიკოლოზ, უჯრ. № 26—მებალიშვილი ალექსანდრე, უჯრ. № 27—ტრაპაიძე ზავედი, უჯრ № 27—იოვიძე ისმაილ, უჯრ. № 29—რატნერი გრიგოლ, უჯრ. 33—ყორღანოვა მარგარიტა, უჯრ. № 34—ბენიმაინოვი ისაკ, უჯრ. № 34—დაგბაშევი გალუსტ.

მე-3 მე რაიკომში: უჯრ. № 2—ბადიაშვილი ალექსი, უჯრ. № 2—გრიგორიანი არტაშესი, უჯრ. № 2—ფარსადანოვი ალექსანდრე, უჯრ. № 4—ტერტერაშვილი არშაკ., უჯრ № 5 — თალიბლი ბეგიუკ - აღა, უჯრ. № 5—ხანოიანი სარქის, № 7—პოვოვი გაიკ, უჯრ. № 12—ამირალოვ ნიკიტინი, უჯრ. № 12—საპცოვი ივანე, უჯრ № 13—იაკუბოვი სეიდ, უჯრ. № 14—ალახვერდოვი ქერიმ, უჯრ. № 17—ზენდუქიძე ალექსი, უჯრ № 19—კურპელი ანტონ, უჯრ № 19—კახხაევი მირიან, უჯრ. № 21—კოტოვი კონსტანტინე, უჯრ. № 21—კანტორი ხაიმ.

მე-4 რაიკომში: უჯრ № 2 ჯულელი სიმონ, უჯრ. № 3—ხარაზიანი ტიგრან, უჯრ. № 3—ქორიძე სერგი, უჯრ. № 4—გელოვანი ნიკოლოზ, უჯრ. № 4—კულაევი, უჯრ. № 5—ხომერიკი კონსტ., უჯრ. № 6—ჭვარსამაშვილი მიხეილ, უჯრ. № 8—ბუჯაშვილი სიმონ, უჯრ. № 11—იუნანოვი ივანე, უჯრ № 11—გულიევი აკოპ, უჯრ. № 11—გაბაშვილი იოსებ, უჯრედი № 11—ენუქიძე მიხეილ, უჯრედი № 11—კახიანი ასატურ, უჯრედი № 11—მორჩილაძე ლავრენტი, უჯრ. № 11—მნაცაკანოვი გრიგოლ, უჯრ. № 11—პეტროსიანი არისტაკეს, უჯრ. № 11—კარაკაში ტავარიშ, უჯრ. № 11—კსენოფონტოვი ვიქტორ, უჯრ. № 12—ათარბეგოვი გიორგი, უჯრ. № 12—კამარაული სოფია, უჯრ. № 13—ბახტაძე კორნელი, უჯრ № 13—ქუკოვი კონსტანტ, უჯრ № 13—ისაევა ზადიგალოვა დორა, უჯრ № 13—მელიქაძე ბესარიონ, უჯრ. № 13—მალაიანი ვართან, უჯრ. № 13—სენკო ვლას., უჯრ. № 13—შიშმაროვი ანდრია, უჯრ. № 13—ეჯიბია თეოფანე, უჯრ. № 13—ბოპოვი ანტიპ, უჯრ. № 15—მოგილევსკი სოლომონი, უჯრ. № 15—პეტროვი თედორე, უჯრ. № 15—სმირნოვა ნინა, უჯრ. № 15—ტრაინიჩი ვლადიმერ, უჯრ. № 15—ზაქაროვი მიხეილ, უჯრ. № 15—სუნდაკოვი სამუილ, უჯრ. № 15—ვრაჩევი გიორგი, უჯრ. № 15—პეტროსიანი ხორენ, უჯრ. № 15—ბაზალაშვილი არსენ, უჯრ. № 16—ტინტიკოვი ნიკოლოზ, უჯრ. № 16—შეპტუცალოვი ათანასე, უჯრ. № 16—შირაზიანი არტემ, უჯრ. № 16—ჩერეპნევა ბარბალე, უჯრ. № 16—პანტურაია ფილიპე, უჯრ № 16—იუფრიაკოვი ივანე, უჯრ. № 16—როგაჩევი პავლე, უჯრ. № 16—სმოხჩელოვი ბაგრატ, უჯრ. № 16—სირაძე იოსებ, უჯრ. № 16—სააკიანი გარეგინ, უჯრ № 16—ტერ-არუთიონოვი ლევან, უჯრ. № 16 ტულიაკოვი ალექსი, უჯრ. № 16—ლუკავა თომა, უჯრ № 16—მარშევი ანდრია, უჯრ № 16—მატიუგინი ივანე, უჯრ. № 16—ნევეროვი ფილიპე, უჯრ. № 16—ოვანესიანი ამაიაკ, უჯრ. № 16—ჯაში მაკარ, უჯრ. № 16—ზანტარაძე არეთი, უჯრ. № 16—ისაკინი ივანე, უჯრ №-16 კოზლოვი ვლადიმერ, უჯრ. № 16-კაზაროვი გიორგი, უჯრ. № 16—კაზაროვი იოსებ, უჯრ. № 16—კაიშაური გიორგი, უჯრ. № 16—კასიანენკო იაკობ, უჯრ. № 16—გუსევი ევგრაფი, უჯრ. № 16—გოგაძე ნესტორ, უჯრ. № 16—გურინი ივანე, უჯრ. № 16—გალუსტიანი არტაშეს, უჯრ. № 16—გამბარიანი ერვანდ, უჯრ. № 16—ჯაბოვი კიზირია, უჯრ № 16—დამოევი ილია, უჯრ. 16—ჯიოევი კონსტანტ., უჯრ. № 16—დავიდოვი დანიელ, უჯრ. № 16—აკოპიანი სარქის, უჯრ. № 16—ანანინი კონსტანტ, უჯრ. № 16—აფანასიევი ვიქტორ, უჯრ. № 16—მაღრაძე ვენიამინ, უჯრ. № 16—ბერაძე ისიდორე, უჯრ. № 16—ბერკმან ანნა, უჯრ. № 16—ვირაბიანი სერგი, უჯრ. № 16—ვართაპეტიანი ასკო, უჯრ. № 17—ბუგანიშვილი პარმენ, უჯრ. № 17—ვაზბა ნესტორ, უჯრ. № 17—კოჩიევი უმარ, უჯრ. № 17—ყრუაშვილი ილია, უჯრ № 17—პაჩევი ალექსანდრე, უჯრ. № 17—სეირანოვი სარქის, უჯრ. № 17—შამბო ევსტაფი, უჯრ. № 17—შაფარიანი არამ, უჯრ. № 17—ერენტრაუდ ალექსანდრე, უჯრ № 17—გაევსკი-რობიტოვა, უჯრ. № 17—კანდელაკი დავით, უჯრ. № 17—ბობოხიძე ალექსანდრე, უჯ. № 17—პუსტავალოვი ივანე, უჯრ. № 17—კუპატაძე ივანე, უჯრ № 17—ძიბილოვი მელიტონ, უჯრ. № 17—სიზოვი ათანასე, უჯრ. № 17—მთვარელიძე დიმიტრი, უჯრ. № 17—ივანოვა ანასტასია, უჯრ. № 18 კორძაია პლატონ, უჯრ. № 18—კიკნაძე ნიკო, უჯრ. № 18 ცაგარელი ბარბარე, უჯრ. № 19—გოგიტაშვილი გიორგი, უჯრ. № 19—ჩებუკიანი გრიგოლ, უჯრ. № 19—კოჟევნიკოვ ვლადიმერ, უჯრ № 19—პირუმოვი ნიკოლოზ, უჯრ. № 21—სარქისიან ლევან, უჯრ. № 22 2—ახვლედიანი გიორგი, უჯრ. № 22—ჯაფარიძე სერგი, უჯრ. № 22 კიკნაძე მიხეილ, უჯრ. № 22. დუმბაძე ვასილ, უჯრ. № 24—მოროზოვი მიხეილ, უჯრ. № 24—დავითაია ლავრენტი, უჯრ. № 25—გალკინი ივანე, უჯრ. № 25—ხოდზკო კონსტ., უჯრ. № 25—კოლოსანიძე ვასილ, უჯრ, № 26—არჩვაძე ნესტორ, უჯრ. № 26—ზავარიანი ნუშიკ, უჯრ. № 27—ვარძიელი იაკობ, უჯრ. № 27—თეთრაშვილი ალექსანდრე, უჯრ. № 27—შამილ მუროვიოვი, უჯრ. № 29—სიტნიკოვი მიხეილ, უჯრ. № 30—სიხარულიძე ვასილ, უჯრ. № 30—ბულატ ულოვიჩი ვასილ, უჯრ. № 30—შორშევი ვასილ, უჯრ. № 30—ბაღდასაროვი კონსტანტ., უჯრ. № 33—ნოდია ხუხუა, უჯრ. № 33—ჭელიძე გიორგი, უჯრ. № 33—ვარნაზოვი აზოტ, უჯრ. № 33—კოხტაშვილი ქრისტეფორე, უჯრ. № 33—კვარაცხელია ვენიამინ, უჯრ. № 33—მამიევი დიმიტრი, უჯრ № 33—კობოლაძე თამარა, უჯრ № 33—ცხომელიძე მარკოზ, უჯრ. № 33—არუცოვი ლეონ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი
რუბენი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(13 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	106,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	99,000
ჩეკები	94,000
დოლარები ეფექტ.	23,000
ჩეკები	23.000
ოსმ. ქაღ. ლირა	11.800
იტალიური ლირა	670
ფრანგული ფრანკი	1000
საბჭ. ფულის ნიშნები	12 ნახ

მუშკოპის ფასები.

პური 1 ხარ.— 600 ათ., პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1350 მ. ცხვრის ხორცი—1,800 ათ. შაქარი რაფინადი 5050 ათ., ფხვნილი შაქარი 3150 ათ., ვერმიშელი—1500 ათ., კარტოფილი—200 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—700 - 800 ათ. პური 2 ხარ—500 ათ, ძროხის ხორცი—1500 ათ., ცხვრის ხორცი—2 მილ. შაქარი რაფინადი—5,200 ათ., ფხვნილი შაქარი—3,400 ხრინჯი აღდ.—1,300, მაკარონი—1,600. კარტოფილი 200 - 250 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. ფხვნილი შაქარი რუს. და ჰოლანდიური. სალმასი. (5.000 ფ.) მზესუმზირა (თესლი). შაბიამანი. სპილენძი ღვინის ქურქელი ბორჯომის ქარხნისა ჩაი. აბრეშუმი. რუს. და იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. ოლიის ზეთი. ნოვოროსიის ცემენტი და ეტერნიტი. რკინეულობა. ელექტრო-ტექნიკური მასალა. ქვა-მარილი ნახიჩევანის ყუბანის ფქვილი. (საკონდიტერო), საგზა, მაკარონი და ვერმიშელი უკრაინისა.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი. შაქარი რაფინადი. რუს. მანუფაქტურა. სალმასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. რკინეულობა ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ტექნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი.

ქვა მარილი ნახიჩევანის 85 კ. ჩერვ. ფუთში ფრანკო სადგ. ტფილისი.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

10 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 4 გარიგება. სულ 5187 მან (ჩერვ.) თანხისა.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საერთო განწყობილება: რძის ნაწარმოების და ცხიმის ბაზრებზე—მტკიცეა, ხორბლის და პურეულის ბაზარზე—გამოურკვეველი; შაქრის ბაზარზე—ცოტად გაცხოველებული დანარჩენ ბაზრებზე შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი ნელ-ნელა იწევს.

„ჩემოში".

შავი ქვის რეალიზაცია.

ოქტომბრის განმავლობაში გაყიდულია: უბრალო მადანი—3500 ტონა საფრანგეთში, გარეცხილი 7300 ტონა, აქედან 5800 ტ. საფრანგეთში, დანარჩენი 1500 ტ. იტალიაში. პეროქსიდი გაყიდულია სულ 698 ტონი ინგლისში.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

12 ნოემბრის სხდომა

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 ნახ. საათზე.

დღის წესრიგს შეადგენდა: 1) ჯანმრთელობის განყ. მოქმედების ანგარიში, 2) მიწადმოქმედების განყ. მოხსენება და 3) საბჭოს ახალი არჩევნები.

ჯანმრთელობის განყოფილების მოქმედება.

(მომხსენებელი ექ. მეუნარგია).

ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება აწარმოებდა მუშაობას სამი მიმართულებით: 1) წინასწარ პროფილაქტიური ზომების მიღება გადამდებ სენთა აღმოსაჩენად და მათი გავრცელების საწინააღმდეგოთ, 2) მოზარდ თაობის ჯანმრთელობის დაცვა და 3) მკურნალობითი საქმე.

პროფილაქტიური ზომების სავსებით გატარება გულისხმობს ყველა იმ პირობების გაჯანსაღებას, რომლებშიაც უხდება ადამიანს ცხოვრება (ნიადაგის, ჰაერის, სახმარებელი წყლის, ბინის და სანოვაგის სტერილობა).

სანიტარიის ამ ძირითადი დებულების გატარებაში ჯანმრთელობის განყოფილება უძლური იყო, რადგან ქალაქის სანიტარული-ჰიგიენური დაცვა ჩაბარებული აქვს კომუნალურ განყოფილებას, რომელიც ქალაქის სალაროს სიღარიბის გამო მოკლებულია საშუალებას სანიტარიის ძირითადი საკითხები ცხოვრებაში გაატაროს.

ჯანმრთელობის განყოფილების სანიტ.-ეპიდემიოლოგიურ ქვეგანყოფილებას ყოველ უბანში დანიშნული ჰყავს თითო სანიტარული ექიმი, რომელიც თვალყურს ადევნებს სანიტარულ პირობების დაცვას და ეწევა ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას.

9 თვის განმავლობაში სანიტ. ექიმების მოქმედება შემდეგში გამოიხატება: დაათვალიერეს 56.339 სხვადასხვა დაწესებულება, ხევები, უშენი ადგილები, მოედნები და სხვა მათში თავის რიგზე აღმოჩნდა 46.439, ხოლო ურიგოთ 4900. შედგენილია 225 ოქმი. წლის დამდეგს გამოცემულმა დეკრეტმა სათანადო ნაყოფი გამოიღო: მილიცია პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქუჩებისა და მოედნების სისუფთავეს.

სანოვაგეზე კონტროლს აწარმოებდა ქიმიური ლაბორატორია, რომელსაც საკუთარი აგენტები ჰყავს. მათ მიაქვთ ლაბორატორიაში სხვადასხვა ნიმუშები, რომელთა ვარგისობას ლაბორატორია არკვევს. ლაბორატორიამ 8 თვის განმავლობაში გააკეთა 2369 ანალიზი, მათში 1135 ვარგისია, 1234 უვარგისი.

ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობის განსახორციელებლად არსებობს სადეზინფექციო კამერა, რომლის მოქმედება შემდეგში გამოიხატება: დეზინფექცია უყო 332 ბინას და 43,265 სხვადასხვა ნივთებს, გადაიყვანა 464 ავადმყოფი და 193 მიცვალებული.

კამერას აქვს გადამდებ სენიანთა ბარაკი 30 საწოლით, სადაც მოთავსებულნი იყვნენ მწვავე გადამდებ სნეულებით დაავადებულნი.

ბრძოლა სოციალურ სენების წინააღმდეგ.

დიდი ყურადღება ექცეოდა მალარიას, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ტფილისში ძლიერ გავრცელდა და მწვავე ხასიათი მიიღო. მალიარიის ბუდე არის საბურთალო, სადაც არსებული ჭაობების დასაშრობად გაყვანილ იქნა არხები, ციებით შეპყრობილთა განსაკურნავად დაარსდა სამალიარიო კომისია, რომელიც ურიგებს მცხოვრებთ ქინას, ახდენს პარაზიტების მატარებელთა აღრიცხვას და იყვანს მათ განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ. მიღებულ ზომებით ავადმყოფთა პროცენტი საგრძნობლად შემცირდა. (1921 წ. იყო 5159 ავადმყოფი, ხოლო 1923 წლის 1-ლ სექტემბრს—844 ავადმყოფი.

რაც შეეხება ტუბერკულოზთან ბრძოლას, ბევრი არ გაკეთებულა. ქალაქს აქვს მეორე საავადმყოფოსთან სპეციალური ამბულატორია, რომელსაც დათმობილი აქვს ათი საწოლი. საჭირო წამლების სიძვირე ქალაქს საშუალებას არ აძლევს ტუბერკ. ბრძოლა ფართოდ აწარმოოს.

ვენერიულ ავადმყოფობასთან ბრძოლა დაყენებულია უფრო მყარ ნიადაგზე. ყოველ ავადმყოფს სრულიად უფასოდ შეუძლია მიიღოს ქალაქის საავადმყოფოში და სამკურნალოებში მკურნალობითი დახმარება. ამ მიზნისთვის განყოფილებას სპეცსამკურნალო აქვს 5, საავადმყოფო კი 1.

მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვა.

მოზარდ თაობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ჯან. განყოფილება აწარმოებს მხოლოდ სკოლებსა და საბავშვო სახლებში მოთავსებულ ბავშვებზედ, სკოლის გარეშე მყოფნი ბავშვები ჯერ-ჯერობით მზრუნველობის გარეშე რჩებიან.

ჩვენი სასკოლო პირობები ბინის უვარგისობის გამო ბავშვების ფიზიკური განვითარებისათვის მეტად ხელის შემშლელნი არიან. მათ აკლიათ სათანადო განათება და კუბატურა. სკოლის სანიტარული ექიმების წლიური ანგარიშებიდან აღებული ციფრები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი მოწაფეთა შემადგენლობის საგრძნობი ნაწილი შეპყრობილია ფიზიკური დეფექტებით და არა ნაკლები ნაწილი ავადმყოფობით. გასულ აკადემიურ წლის განმავლობაში ტფილისის სკოლებში იყვნენ 45 ათასი მოწაფე, რომელთაც უვლიდა 20 სასკოლო სანიტ. ექიმი. ამ რიგათ თითო ექიმზე მოდიოდა 2250 მოწაფე მაშინ, როცა ანგარიშით თითო ექიმის მზრუნველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს არა უმეტეს 1500 მოწაფისა. სასკოლო ექიმების მუშაობა გამოიხატებოდა შემდეგში: თითო ექიმს ჩაბარებული ჰქონდა დაახლოვებით 5—8 სკოლა, სადაც ყოველდღე სისტემატიურად დაიარებოდენ, თვალყურს ადევნებდენ მოწაფეებს და სკოლის სანიტარულ მხარეს, სინჯავდენ მოწაფეებს და აძლევდენ მათ მშობლებს შესაფერ დარიგებებს, საჭიროებისამებრ აგზავნიდენ სპეციალურ მკურნალ ექიმებთან, აწარმოებდენ თვითეულ მოწაფეზე სანიტარულ ფურცელს, ახდენდენ თვითეულ მოწაფის აწონვას და ანტროპომეტრიულს გაზომვას.

მკურნალობითი საქმე.

ქალაქს აქვს 3 საავადმყოფო, რომელიც 670 საწოლს შეიცავს, და 9 სამკურნალო.

საავადმყოფოები შემდეგი ექვსი განყოფილებიდან შესდგებიან: თერაპევტიული განყოფილება 250 საწოლით, ქირურგიული 100 საწოლით, საბებიო-გინეკოლოგიურ 40 საწოლით, საბავშვო 100 საწოლით, ინფექტიური 80 საწოლით და კან-ვენერიული 70 საწოლით.

1914 წლიდან საავადმყოფოების ინვენტარი არ ყოფილა განახლებული. არ მოხდარა, მათი შეკეთება-რემონტი. ამიტომ უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ინვენტარის შეძენას და შენობების შეკეთებას. შეკეთებულია მეორე საავად. თერაპევტ. განყ-ბა, გადაკეთდა ამავე საავადმყოფოს საოპერაციო და მისაღები ოთახები, შეკეთდა 1-ლი საავადმყ. მეორე [illegible] განყოფილება, კაპიტალური რემონტი კეთდება კანვენერიულ საავადმყოფოში. შეძენილია საავადმყოფოებისათვის თეთრეულობა და საბებიო განყოფილება შეუდგა მედიკამენტების მომარაგებას, გაიჩინა თავისი საავადმყოფოს საწყობი, რომლითაც აკმაყოფილებს ყველა თავის დაწესებულებებს.

განყოფ. საავადმყოფოებში და სამკურნალოებში უფასო წამლებით სარგებლობენ ყველა ღარიბები და დაუზღვეველი უმუშევარნი თავისი ოჯახებით, დანარჩენები იხდიან შედარებით მცირე გადასახადს.

სტაციონალური საექიმო დახმარებისათვის ჯან. განყ. ჰყავს თვითეულ უბნისთვის თითო ექიმი, რომელიც ცხოვრობს მინდობილ უბანში და უწევს საექიმო დახმარებას მცხოვრებლებს. სასწრაფო საექიმო დახმარებისთვის არსებობს სასწრაფო დახმარების სადგური, რომელსაც ავადმყოფთა ბინიდან საავადმყოფოში გადასაყვანად აქვს სასწრაფო ეტლები. ყველა საავადმყოფოებმა იანვრიდან სექტემბრამდე მიიღეს 6266 წოლარე ავადმყოფი, 8 სამკურნალოთ—82 993, უბნის ექიმებმა ინახულეს—13499 ავადმყ. სადგურმა აღმოუჩინა სასწრაფო დახმარება—715 ავადმყოფს.

სამკურნალო საქმე მაზრაში.

მაზრაში ბევრი რამ მოუგვარებელია. სანიტარული და სასკოლო საქმე ჯერ კიდევ ხელუხლებელია. მკურნალობითი საქმეც სუსტათაა გაკეთებული.

მაზრაში ამჟამად არსებობს 17 საექიმო პუნქტი, რომელთაგანაც, გარდა ორისა, მოწყობილია ორასი საწოლი, ორთან კი საავადმყოფოები 10 10 საწოლით. განყოფილებამ თვითეულ პუნქტთან გახსნა საპუნქტო აფთიაქი, სადაც საწყობიდან გადაიგზავნა მედიკამენტები. ამჟამად უკვე მაზრაში სარგებლობენ უფასო საექიმო დახმარებით და წამლებით. ამ წლის განმავლობაში შეკეთდა სამი საპუნქტო ბინა და ერთი პუნქტისთვის ახალი შენობის აგებას შეუდგენ.

არ იყო უყურადღებოდ დატოვებული მაზრაში მალიარიასთან ბრძოლაც. ამ ზაფხულს გაიგზავნა მაზრაში 3 ექსპედიცია ორი გარე კახეთში და ერთი კუმისის რაიონში. გარე კახეთში მუშაობდა წითელი ჯვრის ორი ექსპედიცია, კუმისში კი გაგზავნილ იქნა საკუთარი ექსპედიცია.

ჯანმრთელობის განყოფ. ფაქტიური სამეურნეო ხარჯი უდრიდა თვეში 30.000 საქ. მანეთს.

ალმასკომის პრეზიდიუმი შეძლების დაგვარად არ ზოგავს ფულს საექიმო საქმისათვის, რაც თავდებია იმისი, რომ ახლო მომავალში მედიკოსანიტარული საქმე წარმატების გზას დაადგება.

მცირე შეკითხვების შემდეგ, საბჭო იწონებს ჯანმრთელობ. განყოფ მოქმედებას და გადადის მორიგ საკითხზე.

პროფკავშირებში

მედ-სანიტ. მუშაკთა სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

11 ნოემბერს, დილის 11 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა მედ სანიტ. მუშაკთა სრულიად საქართვ. ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა 18 მაზრის დელეგატები და ც. ნ. გამგეობის წარმომადგენელი. დელეგატთა რიცხვი გადამწყვეტი ხმის უფლებით უდრის 56, აქედან ტფილისიდან არის 37 წარმომადგ მაზრიდან—20. სათათბირო ხმის უფლებით ქალაქიდან—22, მაზრიდან—2.

პრეზიდიუმში არჩეული არიან: ამხ. ამხ. კანევსკი, მიხაილოვი, გოგიბერიძე, კარჭემაშვილი, კუჭაიძე, კობახიძე და ჯუღელი. პრეზიდიუმის საპატიო წევრებად: ამხ. ამხ ლენინი, ტროცკი, ტომსკი, მამია ორახელაშვილი, მახარაძე, დუმბაძე და ორჯონიკიძე.

ყრილობის გახსნისას, კავშირის პასუხის. მდივანმა ამხ. გოგიბერიძემ

დახმარების სწორი ორგანიზაციაზე, არამედ ფართო სანიტარულ ღონისძიებათა გატარებაზე, რომელიც მიმართული იქნება მშრომელთა გაჯანსაღებისა და მათ შორის ავადმყოფობათა შემცირებისაკენ. სანიტარულ ზედამხედველობის ორგანიზაცია მუშაობის პირობებისათვის თვალყურის სადევნებლად, ფაბრიკებსა, ქარხნებსა და შინა-მრეწველობის წარმოებებში, სანიტარული ზედამხედველობა მშრომელთა ბინებზე, ბავშვობის და დედობის დაცვა, სპეციალური ღონისძიებანი მოზარდ თაობის დასაცავად, სანიტარული ღონისძიებანი გადამდებ სნეულებათა გავრცელების წინააღმდეგ, სანიტარული განათლება, და ბოლოს ბრძოლა სოციალურ ავადმყოფობათა: ჭლექის, ალკოგოლიზმის, ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ უნდა შეადგენდეს მათ მთავარ საზრუნავ საგანს.

სამკურნალო მედიცინის დარგში ჩვენი დეპუტატები უნდა ზრუნავდნენ:

რათა საავადმყოფოები, ამბულატორიები და სხვა სამკურნალო-სანიტარული დაწესებულებანი სათანადოთ იქნან მოწყობილი და უზრუნველყოფილი მკურნალობის და კვების საჭირო საშუალებებით.

მიიღონ ზომები სანიტარულ-საკურორტო საქმის გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად მშრომელთა ინტერესების მიხედვით.

გაუმჯობესებულ იქნას სამკურნალო დახმარება ომის და შრომის ინვალიდებისათვის, განსაკუთრებით მათი გამომრთელების და მათთვის პროტეზების მოწოდების მხრივ.

სახალხო განათლების დარგში.

სახალხო განათლების ფრონტს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანები ს. ს. რ. კავშირში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავისათვის, უნდა იქნას შესრულებული რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტფილისის და მისი მაზრის მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა და ხალხთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თვითეული ეროვნება უნდა იქნას უზრუნველყოფილი სკოლით საკუთარ ენაზე, უნდა იქნას მიღებული ზომები სათანადო ენაზე სამეცნიერო და სამხატვრო ლიტერატურის შესაქმნელად საჭიროა ყოველგვარი დახმარება გაეწიოს თეატრის განვითარებას სათანადო ენებზე. მიღებულ იქნას ზომები სკოლების მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათთვის საჭირო სასწავლო სახელმძღვანელოების მისაწოდებლათ.

შეკეთებულ იქნას სასკოლო შენობები, მიღებულ იქნას ზომები, რათა სკოლებისათვის გადაკეთდეს ადგილებზე, არსებული და სხვადასხვა უწყებათა მიერ განთავისუფლებული შენობები, რომელნიც სკოლებისათვის გამოდგებიან.

მიღებულ იქნას ზომები სკოლების დასაახლოვებლად მუშათა რაიონებთან.

უზრუნველყოფილ იქნას უფასო სკოლა მშრომელ მცხოვრებლებისათვის.

ყურადღება მიექცეს ადგილების განაწილებას სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, რათა პირველ რიგში განათლების მიღების საშუალება მიეცეთ მუშების და გლეხების შვილებს. მაქსიმალურად გადიდდეს სტიპენდიათა რიცხვი მოწაფეთათვის, პროლეტარულ სტუდენტობისათვის და განსაკუთრებით მუშათა ფაკულტეტზე მოსწავლეთათვის. უზრუნველყოფილი იქნან სტუდენტები ბინებით. ყურადღება მიექცეს, რათა სწავლების პროგრამები და გეგმები სკოლებში შეფარდებულ იქნან მშრომელთა ინტერესებთან.

მოაწყონ ადგილობრივი ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და კლუბები, თვალყური ადევნონ მათ შევსებას ლიტერატურით და აგრეთვე მიიღონ ზომები სწავლა-აღზრდის და კულტურულ განმანათლებელი დახმარების განსავითარებლად მოზრდილ მოსახლეობას შორის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გონიერ გასართობების და კულტურული დასვენებისათვის პირობების შექმნას.

დაუღალავად ადევნონ თვალყური მოზრდილთათვის სკოლის გარეშე განათლების, როგორც საერთო საგანმანათლებლო, ისე პროფტეხნიკურის, დაყენებას და აგრეთვე იმას, რომ მათში სწავლება შეეფერებოდეს საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებსა და ამოცანებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აგრეთვე პროფტეხნიკური განათლების შკოლებსაც (საქარხნოსაფაბრიკო სკოლები, საშუალო და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები), შეუმსუბუქონ მათში შესვლა მუშებისა და გლეხების შვილებს.

მიიღონ ზომები ტეხნიკური ცოდნის გასავრცელებლად გამოფენების, ბიბლიოთეკების, ლექციების და სხვა. საშუალებით, ხელი შეუწყონ პოპულიარულ ტეხნიკური ლიტერატურის შექმნას.

მიიღონ ზომები ბავშვთა უპატრონობასთან სასტიკი ბრძოლისათვის და ბავშვთა სოციალური დახმარების საქმის დაწყების გასაუმჯობესებლათ, მშრომელ დედების დახმარების და ხელის შეწყობის მიზნით მოაწყონ ბავშვთა სახლების და სხვა დაწესებულებების ქსელი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ „სპარტაკის" დახმარებას.

ადმინისტრატიულ და სასამართლო დარგში.

ჩვენმა დეპუტატებმა უნდა მიიღონ ზომები საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობის მოსაწესრიგებლად და გასაუმჯობესებლათ, განსაკუთრებით იმ დაწესებულებებში, რომლებისადმი მიმართვა უფრო ხშირათ უხდებოდა მშრომელთ (მმაჩი, საბინაო განყოფილებები, მილიცია და სხვ.) რათა უსასტიკესი ზომებით იქნას აღმოფხვრილი მათში ბიუროკრატიზმი, უთავბოლობა, უდიერი და უყურადღებო მოპყრობა მოქალაქეთადმი; უზრუნველყოფილ იქმნას ყურადღებით მოპყრობა სხვა ერის მოქალაქეთადმი, საბჭოთა დაწესებულებების მუშაკების მიერ ადგილობრივი ენების ცოდნა და იმ მოქალაქეთათვის, რომლებმაც არ იციან არა სახელმწიფო ენები, დაწესებულებებისადმი სამშობლო ენაზე მიმართვის და საჭირო ცნობების მიღების საშუალება.

მიიღონ ყველა ზომები ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის გასაძლიერებლათ, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო და სისხლის სამართლის მილიციის ორგანოებს, განსაკუთრებით მათი პირადი შემადგენლობის და მათი შრომის ჯილდოს გაუმჯობესებას.

გააძლიერონ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაობა, რათა მიღწეულ იქნეს სასამართლოებში აღძრული საქმეების რაც შეიძლება დაჩქარებით გარჩევა, განსაკუთრებით კი შრომის სასამართლოებში.

სასოფლო მეურნეობის დარგში

თვალყური ადევნონ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს სრული კანონიერების დაცვას, გადასახადის წესიერათ განაწილებას საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტების და დადგენილებების საფუძველზე.

გადაუხვევლათ და სისწორით შეასრულონ ყველა მუხლები შეღავათების და მცირე შეძლების მეურნეობათა გადასახადისაგან სრულებით განთავისუფლების შესახებ; არ დაუშვან არავითარი თვითნებური მოქმედება საგადასახადო აგენტების მხრივ, არავითარი თვითნებური მომატება; ამავე დროს სასტიკ კანონიერ პასუხისგებაში მისცენ ის გადამხდელები, რომლებიც ბოროტად გაურბიან გადასახადს.

მიიღონ ზომები იმისათვის, რომ შეარჩიონ შესაფერი პირადი შემადგენლობა ძირეული საგადასახადო აპარატისათვის.

ჩვენ ვავალებთ ჩვენს დეპუტატებს მიიღონ ზომები სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების გასადიდებლათ და ხელი შეუწყონ გლეხებს სასოფლო მეურნეობის უკეთეს ფორმებზე გადასვლისათვის.

მიიღონ ზომები აგრონომიულ ადგილების რიცხვის გასადიდებლად, გლეხებს შორის აგრონომიული ცოდნის გასავრცელებლად, მოაწყონ საუბარი, ლექციები, გამოფენები, კონფერენციები, გაავრცელონ აგრონომიული ლიტერატურა.

მიიღონ ზომები სათესი წოდანის შემდეგი გაუმჯობესებისათვის, სათესლე მასალების გასაუმჯობესებლათ იარაღების გასაქირავებელ და ბალახეულობის გასაწმენდი პუნქტების საკმაო რაოდენობის მოსაწყობათ.

ხელი შეუწყონ გლეხობის დაწყებულებას ტექნიკური კულტურის მოედანის გაფართოების დარგში, ცალკე მეურნეობათათვის და კოლექტივებისათვის შეღავათის მინიჭების გზით.

მიიღონ ზომები სასოფლო სამეურნეო კულტურათა მასიურ მავნეებთან ბრძოლისათვის. მიიღონ ზომები მესაქონლეობის გასაუმჯობესებლათ, მოაწყონ დასამაკებელი პუნქტები და გააფართოვონ საჯითლო პუნქტების ქსელი, მიიღონ ზომები ღარიბ მოსახლეობისათვის საუკეთესო ჯიშის მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა საქონლის მიწოდებისათვის.

მიიღონ ყოველივე ზომები მიწის რეფორმის სასწრაფოთ დამთავრებისათვის,

გლეხობისათვის პროდუქტების განაღდების და მრეწველობის პირველი მოთხოვნილების ნაწარმოების შეძენის გასაადვილებლათ და აგრეთვე სპეკულიაციასა და კულაკობასთან საბრძოლველად, გაეწიოს ყოველივე დახმარება ყველა სახის სასოფლო კოოპერაციას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოოპერატიული კრედიტის მოწყობას მევახშეობასთან ბრძოლისათვის.

მიწათ მოქმედების და მიწით სარგებლობის დარგში გლეხობისათვის საკუთარი ძალების და საშუალებების მიზანშეწონილათ გამოყენების გასაადვილებლათ, დახმარება გაეწიოს მიწად-მოქმედებითი შრომის გაერთიანებათა და კოლექტივთა ორგანიზაციას, მიწის შეერთებული ძალებით დამუშავების და რაციონალური საგლეხო მეურნეობის მოწყობის მიზნით. ამასთანავე მიღებულ იქნეს ზომები სხვადასხვა სახის ამხანაგობათა (სამელიორაციო, სამანქანო და სხვ.) მოწყობისათვის, როგორც ნიადაგის გასაუმჯობესებლათ, ისე შეღავათიან პირობებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესასყიდათ, ასეთ ორგანიზაციებში ჩაბმულ იქნეს ღარიბესი მეურნეობა, რაც მოსპობს ღარიბების დაბეჩავებას კულაკების მიერ.

მიიღონ ზომები აუცილებელ სარწყავ და საშრობ მუშაობათა შესასრულებლად:

მოეწყოს სატყეო მეურნეობის წესიერი მეთვალყურეობა, თვალყური ადევნონ ტყის გაჩეხის და ხე-ტყის მასალების დამზადების მოწესრიგებას, გლეხობისათვის ხე-ტყის მასალების წესიერათ და თავის დროზე მიწოდებას.

მოწესრიგდეს, გამარტივდეს და გაიაფდეს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ორგანიზაცია. გადიდებულ იქნას ჯილდო გლეხებისათვის დაზარალებულ დაზღვეულ მეურნეობათათვის.

ს. ს. რ. კავშირის სამხედრო ძალების განმტკიცების და უზრუნველყოფის დარგში.

ჩვენს წარმომადგენლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი შესძლებენ გაატარონ ცხოვრებაში ყველა ის ამოცანები, რომლებსაც ჩვენ მათ ვაკისრებთ და აგრეთვე განამტკიცონ და დაიცვან მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, მხოლოთ წითელი არმიის საკმაო ძლიერების შეწყობით.

ჩვენ ვავალებთ ჩვენს წარმომადგენლებს: მიიღონ ზომები წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, ყაზარმების მოსაწყობით, სამხედრო ნაწილების და მათი საკადრო შემადგენლობის დასაბინავებლად, მათთვის საჭირო მასალის და სხვ. დამზადებისა და მიწოდებისათვის.

მიიღონ ზომები წითელარმიელთა, საკომანდო და პოლიტშემადგენლობის და ინვალიდების ოჯახების უზრუნველსაყოფად ყველა სახის შეღავათით და მატერიალური დახმარებით.

გაეწიოს ყოველივე დახმარება ტერიტორიალურ სამხედრო ნაწილებს, მშრომელთათვის სამხედრო ბეგარის მოხდის გაადვილების მიზნით.

მიიღონ ზომები დეზერტირობასთან და დეზერტირების დამალვასთან ბრძოლისათვის.

გაუწიონ ყოველივე დახმარება წითელ არმიელთა კულტურული დონის ამაღლებას, მთელ რიგ კულტურულ-განმანათლებელ ღონისძიებათა გატარების გზით. ამ ნაკაზის ყველა დებულებათა შესრულებისათვის ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა აძლიონ მათ ვრცელი ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ და, აგრეთვე, ყველა იმ საბჭოთა ორგანოების შესახებ, რომლის მუშაობაში ისინი მონაწილეობას იღებენ.

იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა ნებისყოფა არ სრულდება, ან ადგილი აქვს გადახრას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგომ ამოცანების განხორციელებისაგან, დეპუტატებმა უარი უნდა განაცხადონ თავიანთ თანამდებობაზე და შეცვლილ იქნენ ახალი არჩევნების გზით.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც იხსნა ქვეყანა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებისაგან, სიმშილისა და რღვევისაგან, შესძლებს, აგრეთვე სავსებით აღადგინოს ს. ს. რესპუბლიკების ეკონომიური ძალა და საბოლოო შეტევით გაანადგუროს მშრომელთა მტრები.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მთელ მსოფლიოს მშრომელთა კავშირს!

გაუმარჯოს მუშათა კლასის ავანგარდს და მშრომელ გლეხობის ხელმძღვანელს,—რუსეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას და მის გენერალურ შტაბს—კომინტერნს!

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნა, რომ ყრილობის წინაშე სდგას მთელი რიგი საყურადღებო საკითხებისა, როგორიც არის ცენტ. გამგეობის საანგარიშო მოხსენება, მომხსენებელი ჯან. სახ. კომის. ა.-კ. რ.-გზის ჯან. განყოფილების, წითელი ჯვრის საზოგადოების, ჯან. სახ. კომისიის საეტერ. განყოფილების და სხვ. ყველა ზემოხსენებულ საკითხებზე ყრილობამ თავისი სიტყვა უნდა სთქვას, აღნიშნოს ნაკლი, შეაფასოს წარსული მუშაობა და მისცეს ყველა უწყებას მომავალ მუშაობისათვის სათანადო დირექტივები.

დილის სხდომა ატარებს საზეიმო ხასიათს. ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს ამხ. ლენინს, კომინტერნის აღმასკომს. სრ. რ. პ. კ. საბჭოს და მედ-სანიტ. კავშირის ცენტ. კომიტეტს.

მისალმებანი

ყრილობას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სრ. რუს. მედ. სანიტ. კავშირის ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. კანევსკიმ, ჯან. სახ. კომ. სახელით ამხ. კუპაიძემ, ფეიქართა ცენტ. გამგეობის სახელით ამხ. სანოეიძემ ახ. კომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. სარქისოვმა. ყველა ზემოხსენებული ამხანაგები აღნიშნავენ განსახილველ საკითხების უაღრეს მნიშვნელობას და უსურვებენ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. კანევსკი, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე პოლონეთისა, გერმანიისა და საფრანგეთში დატრიალებულ უკანასკნელ ამბებზე, რომელნიც მთელ ევროპას დევისებური ნაბიჯით მიაქანებენ საერთაშორისო ოქტომბრისაკენ. მოხსენების დასასრულ ყრილობის მიერ მიღებულია რეზოლიუცია, სადაც ყრილობა ძმურ სალამს უგზავნის პროლეტარულ გერმანიას და მოუწოდებს გერმანიის მუშებს კომპარტიის გარშემო შემოკრებისაკენ. ყრილობა აცხადებს, რომ საქ. მედ. სანიტ. მუშაკნი, როგორც ერთი კაცი, დადგებიან რევოლიუციის სადარაჯოზე, როცა ამას ინებებს საბჭოთა ხელისუფლება.

რევოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა შესწყდა.

ქრონიკა

— **დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს.** ოქტომბრის განმავლობაში უმუშევართა დაზღვევის განყოფილებამ სხვადასხვა დახმარების სახით გაილო 67 მილიარდი, 217 მილიონი და 511 ათასი მან., აქედან მარტო უმუშევრებს მოხმარდათ 62 მილიარდი.

— **სოფლის საბჭოების არჩევნები.** 8 ნოემბრიდან გორის მაზრაში დაიწყო სოფლის საბჭოების არჩევნები, ხოლო 30 ნოემბრისათვის განზრახულია ამ საბჭოების საერთო ყრილობა.

— **ღორის ჭირი.** სიღნაღის მაზრაში ამ ჟამად მძვინვარებს ღორის ჭირი. მიღებულია სათანადო ზომები მის წინააღმდეგ.

— **სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები კახეთში.** ამ ჟამად სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები არსებობს სოფ. გურჯაანში. განზრახულია ასეთივე ტეხნიკუმის გახსნა წნორის-წყალშიც.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკების შესახებ.** პროფკანათლების მთავარ მმართველობამ მისცა სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტს, შეიმუშაოს დამოკიდებულების წესი სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკებსა და ჯანმრთელობის კომისარიატის საავადმყოფოებს შორის.

— **მცირეწლოვანთა უფლებების დაცვა** განათლების კომისარიატთან არსებულმა მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებამ მაზრების განათლების განყოფილებებიდან მიიღო ანგარიშები, თუ როგორ სწარმოებს ადგილობრივ უპატრონო ბავშვებზე ზრუნვის საქმე.

— **ცხენოსანთა ბრიგადის სკოლის შეკეთება.** ქ. აღმასკომმა კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადის სკოლის შესაკეთებლათ გადასდო 1 მილიარდი და 500 მილიონი მან. ერთდროული დახმარების სახით.

— **სახარჩო-სასადილოების გაღება-დაკეტვის დრო.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით 15 ნოემბრიდან ყველა სახარჩო-სასადილოები უნდა გაიღოს დილის 6 საათზე და დაიხუროს ღამის 10 საათზე, ხოლო კაფეები და საკანდიტროები—დილის 8 საათზე და დაიხუროს ღამის 10 საათზე.

— **შენობებზე გადასახადის აკრეფა.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა სახლებზე დადებულ გადასახადი შემოტანილი უნდა იქნეს უწყების ჩაბარებიდან 15 დღის განმავლობაში.

— **ტფილისის საბჭოს არჩევნები.** ტფ საბჭოს უკანასკნელ პლენუმის სხდომამ დაადგინა, მუშათა და გლეხთა ტფ. საბჭოს არჩევნები დაიწყოს 15 ნოემბრიდან.

— **მიწათმოწყობის საქმე ტფილისში.** ივლის-სექტემბრის განმავლობაში ტფ მაზრაში, 47 სოფელში დამთავრდა მიწათმოწყობის საქმე, 57,452 დესეტინის სივრცეზე.

— **დაბადების და სიკვდილიანობის რიცხვი.** სამოქალაქო აქტების ჩამწერი განყოფილების ცნობით, ტფილისში იანვრიდან-სექტემბრამდის დაიბადა—4957, გარდაიცვალა 2411.

— **უწყალსადენო ბინების რიცხვი.** ამ ჟამად ტფილისში ირიცხება 31,284 ბინა, რომელთაც არა აქვთ გაყვანილი წყალსადენი.

— **უმუშევართა გენერალური აღრიცხვა.** ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, შრომის ბირჟის შენობაში დანიშნულია ყველა სექციების უმუშევართა გენერალური აღრიცხვა. გადარიცხვის განმავლობაში უმუშევართა ჩვეულებრივი გამოცხადება დროებით შეწყვეტილი იქნება.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 12 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—18 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—47, სამუშაოზე გაიგზავნა—35 უმუშევარი.

შემთხვევები.

— გვამის პოვნა. 9 ნოემბერს, კოჯორის გზატკეცილზე, ხევში იპოვეს მოკლული კაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

— მკვლელობა. 7 ნოემბერს მოქ. იოსებ არუთინოვმა დანით მოკლა მარუსია მელაშვილი. მკვლელი შეიპყრეს.

— ბინის გაქურდვა. 9 ნოემბერს ღამით გაქურდეს მოქ სოფიო მელიქსეტუროვის ბინა (ელისაბედის ქ. № 79), წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— ქურდის შეპყრობა. 8 ნოემბერს შეიპყრეს ამბერკი აროშიძე, რომელსაც ბრალდებოდა მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის ცენტრალურ საწყობის კანცელარიიდან ხელით საბეჭდავ მანქანის მოპარვის განზრახვა.

— ბოროტმომქმედების შეპყრობა. 5 ნოემბერს შეიპყრეს თათიოზ ოგანჯანოვი, რომელსაც ბრალათ ედება გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

ხელოვნება

— **მხატვარ გაბაშვილის ნახატების გამოფენა.** მხატვართა კავშირს განზრახვა აქვს გაზაფხულზე ტფილისში მოაწყოს ცნობილ მხატვარის გაბაშვილის სურათების დიდი გამოფენა. გამოფენილი იქნება გაბაშვილის თითქმის ყველა ნაწერები, დაახლოვებით 2000 ცალი სურათი.

— **ახალგაზრდა მხატვართა ნახატების გამოცემა წიგნათ.** ახალგაზრდა მხატვრების ერთი ჯგუფი შეუდგა ახალგაზრდა მხატვართა ნახატების წიგნათ გამოცემას. წიგნში მოთავსებული იქნება რეპროდუქციები ფერადი საღებავებით და დაბეჭდილი საუკეთესო ქაღალდზე.

— **„გმირი“.** ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება სინგის პიესა „გმირი“. თარგმანი გრიგოლ რობაქიძის, დადგმა კ. მარჯანიშვილის. ამ წარმოდგენისათვის დახატულია დეკორაციები და შეკერილია ახალი კოსტიუმები.

— **ლადო მესხიშვილის ძეგლი.** ლადო მესხიშვილის ძეგლის აგების კომისია ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს მექანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან ლადო მესხიშვილის ძეგლის ბრინჯაოსაგან გამოკვეთის შესახებ.

— **ალ. ყაზბეგის ბიუსტი.** ვახტანგ კოტეტიშვილმა გამოკვეთა მწერალ ალ. ყაზბეგის ბიუსტი, რომელიც ხელოვანთა სასახლეში დაიდგმება დეკემბრის დამლევს ყაზბეგის ხსოვნის აღსანიშნავათ გამართულ ზეიმის დღეს.

— **საბავშვო ჟურნალები.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა, შეიტანოს გადახალისება საბავშვო ჟურნალებში, და მათი შინაარსი დაუახლოვოს სკოლების პროგრამებს.

— **სალიტერატურო-სამხატვრო სექციაში.** განათლების კომისარიატთან არსებულ სამხატვრო-სალიტერატურო სექციის კოლეგიის წევრათ დაინიშნა რუსუდან ნიკოლაძე-პოლიექტოვისა.

— **საბავშვო თეატრი.** დაევალა ქალაქის სკოლების გამგეობას მათდამი რწმუნებულ სკოლებში არსებულ საბავშვო დასებმა მიიღონ ახლო მონაწილეობა ცენტრალურ საბავშვო თეატრის მუშაობაში.

— **სახალხო სახლის იუბილეს გადადება.** სახალხო სახლის იუბილე, რომელიც უნდა გამართულიყო 30 ნოემბერს, გაიმართება 2 დეკემბერს.

— **სახალხო სახლში.** პარასკევს, 16 ნოემბერს ქართულ დრამის მიერ მ. ღვამიჩავას რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“.

მზადდება დასადგმელად „კატასტროფა“ „სტუმარ-მასპინძლობა“ და „დამზრალი წალკოტი“.

პროვინციაში

ზუგდიდის მაზრის დაყოფა რაიონებად

(ზუგდიდის მაზრის აღმასკომის საყურადღებოდ)

მახლობელ დღეებში მაზრების დაყოფა რაიონებად ფაქტიურად გატარდება ცხოვრებაში.

აქ მინდა შევეხო ზუგდიდის მაზრის აღმასკომის პროექტს, რომლის თანახმად მაზრა იყოფა რვა რაიონათ: 1) ზუგდიდისა, 2) კორცხელის, 3) ხობის, 4) დარჩელის, 5) ახალხიბულის, 6) წალენჯიხის, 7) ლიის, 8) ჩხოროწყუს. ამ რაიონებიდან შვიდი წარმოადგენს ძველ სამილიციო რაიონებს და ერთი კი—სახელდობრ—კორცხელის—ახლად გამოყოფილს.

ჩვენის აზრით, სრულიად უსაფუძვლოა კორცხელში რაიონის დაარსება; მისი დაარსება არ გამოდის ეკონომიური მთლიანობის პრინციპიდან, რომელიც უდევს შ. ს. კომისარიატის პროექტს.

ქ. ზუგდიდი წარმოადგენს მაზრის სამეურნეო ცენტრს, მაგრამ ამავე დროს და განსაკუთრებით მის გარშემო მდებარე 11 თემისთვის იგი წარმოადგენს რაიონის სამეურნეო ცენტრს.

ამ თემთა რიცხვში იმყოფება სოფ. კორცხელი და ის თემებიც, რომლებიდანაა შემდგარი კორცხელის რაიონი, მაზრის პროექტის თანახმად. თვით კორცხელი დაშორებულია ქ. ზუგდიდიდან შვიდ ვერსით და მდებარეობს ზუგდიდ-წალენჯიხის საუკეთესო შარა-გზაზე. ახლა ავილოთ შემავალი თემები: ლედგებიე—მდებარეობს კორცხელის აღმოსავლეთით, დაშორებულია ქ. ზუგდიდიდან 3—4 ვერსით, ლედგებიეს მცხოვრებლებს სრულებით არ იზიდავს კორცხელი არც ეკონომიურად და არც კულტურულად (ორივეს დაბალ დაწყებითი სკოლები აქვთ) და ამავე დროს არც გეოგრაფიული მდგომარეობა უწყობს ხელს მათ კავშირს, რადგანაც კორცხელს და ლედგებიეს შუა მაღლობი და ოღრო ჩოღრო ადგილია გადასასვლელი, იმ დროს, როდესაც ლედგებიეს ზუგდიდთან აერთებს სწორი გზა.

სრულებით ზედმეტია ლაპარაკი ს. ყულისკარზე, რომელიც ს. ლედგებიეს აღმოსავლეთით მდებარეობს წელიწადში ერთხელ თუ მოუხდება მისვლა ს. კორცხელში ყულისკარის მცხოვრებს, იმ დროს, როდესაც კვირაში ორხელ თითეული ყულისკარის მცხოვრებს ზუგდიდში ნახავთ თავის სამეურნეო საქმეების გამო. კორცხელის თემი არ აკავშირებს თვით მასში შემავალ სოფლებს. ავილოთ სოფ. ბაში, რომელიც მის დასავლეთით მდებარეობს; ბაშის მცხოვრებელი რომ კორცხელში მოხვდეს, უნდა გადაიაროს ორი ვერსის სიმაღლე გორა; უბრალო ნავთი და წუმწუმის საყიდლათაც ბაში ზუგდიდს მიმართავს. ამის შემდეგ რა უნდა ითქვას იმ თემებზე—ნიკოსია, რიყე—რომლებიც სოფელ ბაშის კიდევ დასავლეთით მდებარეობენ და მჭიდრო სამეურნეო კავშირი გაუბამთ ქ. ზუგდიდთან, რასაც თან ემატება გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელი პირობები: ზუგდიდთან სიახლოვე 5—6 ვერსით და კარგათ მოწყობილი სწორი გზა.

რათ არის საჭირო ეს თემები მივაწებოთ სოფ. კორცხელს, რათ არის საჭირო ასე ხელოვნურად შევთითხნოთ ასეთი რაიონი?

ასეთ რაიონში შექმნილი ხელისუფლების ორგანოც უმოქმედო და უძლური იქნება. ამიტომ არ არის საჭირო ზუგდიდის ბუნებრივ და ისტორიულად შექმნილი რაიონი ხელოვნურად ორ რაიონად დაიჭრას, არამედ ის, როგორც მთლიანი სამეურნეო ერთეული, უნდა დარჩეს მთლიან ადმინისტრატიულ ერთეულად.

შემდეგ ამისა საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონების გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებს. თუ ზუგდიდის მაზრას ეძლევა მერვე რაიონის დაარსების უფლება, ეს რაიონი გამოყოფილ უნდა იქნას ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებიდან, სწორედ იმ სამეურნეო და გეოგრაფიული პრინციპის თანახმად, რომელიც მოცემულია შინაგან საქმეთა კომისარიატის პროექტში.

არ უნდა იქნას დავიწყებული ის გარემოება, რომ ჩხოროწყუს რაიონში არის ორი მოზრდილი პუნქტები, დაბები—ხაბუმე და სამღებრო.

დაბა ხაბუმე მოზრდილ პატარა ქალაქს წარმოადგენს; იქ ბევრია სავაჭრო შენობები—სახელოსნოები და 2—3 სართულიანი საცხოვრებელი სახლები; აქვს თავისი საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფი, რომელიც მთელი ჩხოროწყუს რაიონს ემსახურება. წარმოადგენს მთელი ჩხოროწყუს რაიონის და ნაწილობრივ წალენჯიხის რაიონისათვის კულტურულ ცენტრს: აქვს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი 1917 წლიდან, გიმნაზია-ტეხნიკუმი 1919 წლიდან, რომელსაც თავის საკუთარი საშუალებებით ინახავს; დაბა მდიდარია თავის კულტურული ძალებით, თავის სამეურნეო პირობებით იზიდავს მუხურის (წალენჯიხის რაიონში შედის), ჭოღის, ნაფიჩხოვოს, მოიდანახეს თემებს და ნაწილობრივ ჩხოროწყუსაც. აი ეს გარემოება გვარწმუნებს ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებიდან ამ რაიონის, სახელდობრ ხაბუმეს რაიონის გამოყოფის საჭიროებაში, სადაც უმტკივნეულოდ მოეწყობა რაიონული ხელისუფლების ორგანო, მით უმეტეს გეოგრაფიული მდებარეობაც ამის საჭიროებას მოითხოვს; ავილოთ მაგალითისათვის ნაფიჩხოვოს თემი, რომელიც დაშორებულია ჩხოროწყუდან 20 ვერსით, მასთან უსწორ-მასწორო გზების და მდინარეების არსებობა. ნაფიჩხოვოდან ხაბუმედი კი 7 ვერსია და აკავშირებს მასთან სწორი გზა. მუხური დაშორებულია წალენჯიხიდან 16 ვერსით, ხაბუმედან კი—6 ვერსით, თვით ხაბუმე ჩხოროწყუდან 9 ვერსით, აქედან ცხადია, თუ რას მოითხოვს გეოგრაფიული მდებარეობა.

თუ ხაბუმეს რაიონს გამოვყოფთ, დაგვრჩება ჩხოროწყუს რაიონი, შემდგარი შემდეგი თემებიდან: ჩხოროწყუ, ლეწურწუმე, ლესიჭინე და ახუთი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ახუთი—ლესიჭინე თავიანთი დაბა სამღებროთი ერთი სამეურნეო ტერიტორიაა, ერთი სამეურნეო ფარგალია და ეკონომიურად არ არიან დამოკიდებული ჩხოროწყუდან, არც კულტურულად (ჩხოროწყუში უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელია და სამღებროშიც) და ამ თემების მიწერება ჩხოროწყუზე არ არის მიზანშეწონილი, მაგრამ ეს თუ მაინც და მაინც მოხდება, გეოგრაფიული პირობები დიდათ ხელს არ შეუშლის.

კიდევ ერთი შესწორება: თემი აბასთუმანი, რომელიც ბუნებრივათ დაკავშირებულია ქ. ზუგდიდთან და სადაც სამაზრო აღმასკომის საპარტო ქარხანაც იმყოფება, შ. ს. ს. კომისარიატის პროექტის თანახმად, მიწერილია ხობის რაიონზე, რომლიდან ის იყოფა ურთა მთის გაგრძელებულ მწვერვალებით; ზუგდიდის აღმასკომის პროექტი არავითარ პასუხს არ იძლევა ამ საკითხზე, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ეთანხმება შ. ს. ს. კომისარიატის პროექტს. აბასთუმანი უნდა მიეწეროს თავის ბუნებრივ სამეურნეო რაიონულ ცენტრს—ზუგდიდს.

მსგავს მდგომარეობაში არის თემი საჩინოს საქმეც, რომელიც იმავე პროექტის თანახმად მიწერილია ლიის რაიონზე, რომლიდან იყოფა ორი ვერსიან მაღლობი—გორაკებით და არავითარი სამეურნეო კავშირი არას დროს მასთან არ ჰქონია, არამედ ყოველთვის ასეთი კავშირი ჰქონდა წალენჯიხთან, რომლებიც წარმოადგენენ თითქმის ერთ ვაკეს—დაბლობს მდინარე ინწრას და ჭყონწყალის გარშემო და დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან საუკეთესო გზით. ამავე დროს საჩინოდან წალენჯიხამდე 4 ვერსია; საჩინოდან ლიამდის კი—7-ზე მეტი და მასთანავე მაღლობი გორაკები. მასთანავე საჩინოს მცხოვრები რომ ჩავიდეს ს. ლიაში, მან უნდა გაიაროს იწერის თემი, რომელიც მიწერილია წალენჯიხის რაიონზე. აქედან აშკარაა თემი საჩინოს ლიის რაიონზე მიწერის სრული უაზრობა. საჭიროა ეს შეცდომაც იქნას გამოსწორებული.

გ. შელია.

სუფსა (გურია)

7 ნოემბერს გაიმართა ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო მიტინგი. ორ საათზე მიტინგი გახსნა ადგილობრივი პარტკომის სახელით ამხ. ა. თოდრიამ, რის შემდეგ ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას, როგორც შინაურ საბჭოთა აღმშენებლობაზე, ისე საერთაშორისო მდგომარეობაზე, აკეთებს ამხ. კოწია გურგენიძე. მომხსენებელმა აღნიშნა თუ რა გააკეთა საბჭოთა მთავრობამ მეურნეობის სხვადასხვა დარგში, როგორიც არის რკინის გზის გაყვანა, სარწყავი არხების გაყვანა, ჰიდრო-ელექტრონული სადგურების აგება და სხვა. ყველა მის მოყვანილ ცნობებს ამხ. მომხსენებელი საბუთებით და ციფრებით ხელში ამტკიცებს. ამასთან ამხანაგი შეეხო გერმანიის ამბებს. მთელი ორი საათი უძრავად უსმენდა მიტინგი თავის ორატორის სიტყვებს. მოხსენების გამო მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა კომკავშირის წარმომადგენელი ამხ. დ. კომახიძე და ყოფილი მარქსისტთა ახალგაზრდობიდან ამხ. მახა შანავა. მიტინგი გვიან დაიშალა.

საღამოს, სუფსის რკინისგზის მუშების სცენის მოყვარეთა ჯგუფმა მოაწყო უფასო წარმოდგენა. ხალხი ბლომათ დაესწრო. რადგან პირველი მოქმედება შეიცავდა რელიგიის სიყალბის გამოაშკარავებას, ამხ. კ. გურგენიძემ აქაც გააკეთა ვრცელი მოხსენება ცრუმორწმუნეობის შესახებ. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. შემდეგ შესდგა საკონცერტო განყოფილება. დივერტისმენტი. წაიკითხა ლექსები პროლეტარულმა პოეტმა ა. სუფსელმა. პ. დათუნაიშვილმა და სხვ. ნოე ჯიბლაძემ შეასრულა რამოდენიმე გურული სცენა. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

ნამგალი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს ს. ს. ს. რესპ. სამხედრო კომისარიატის განცხადება

ქ. ტფილისში, ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში მცხოვრებ ნამდვილ სამხედრო სამსახურში არა მყოფ ყველა პოლიტიკურ (წითელ არმიაში ნამსახურ და არა ნამსახურ, ამჟამად ამიერ-კავკასიის, რომელიმე რესპუბლიკის ან მაზრის მასშტაბით მომუშავე) უფროსთა და საადმინისტრაციო საბეითლო და სამედიცინო შემადგენლობის პირთათვის, რომელნიც რაიმე მიზეზისა გამო, არ გამოცხადდნენ ხელ-ახალ აღრიცხვაზე—უკანასკნელ ვადათ საქართველოს სამხედრო კომისარიატში გამოცხადებისათვის ინიშნება—ა. წ. ნოემბრის 14, 15, 16 და 17 რიცხვებში.

ვინც ზემოაღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდება—ჩაითვლება აღრიცხვიდან მორიდებულად (დამალულათ) და მიცემულ იქნება სამართალში სრულიად საქ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის ა. წ. № 65 დადგენილების თანახმად, რომლითაც აღრიცხვიდან მორიდებულთათვის გათვალისწინებულია—ჯარიმა 2 0 მან. ოქროთი, ან იძულებითი მუშაობა 6 თვემდე.

ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარის მაგიერ ბერიკაშვილი.
თანაშემწე აველიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

4 რაიკომი. განმეორებით აძლევს წინადადებას ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში (13—15 ნოემბრამდე) გამოცხადდენ რაიკომში: კურგანი ელენე, მკრტჩიან ალექსი, ბუგაევი პეტრე გრ., კიოევი გაბრიელ მ., დარავეცკი ივანე არბაბაიანი ანაიდა ა., კუჯაშვილი მიხეილ ილიასძე, სორკინი მარიამ რ.. ბარია ბეგლარ ბ., საყვარელიძე პავლე მ., ლომიძე ალექსანდრე ა., ბოკოვიჩი ალექსი ო., გრაბნავ ეგორ, ლიპატოვი ვლადიმერ ივანესძე—, ჩისტიაკოვი ივანე, მესხი ვასილი ტ., გრობნოვი ალექსანდრე დ., მაკოევი ანდრია გ., ოგანეზოვი ალექსანდრე იაკ., მუსიევი სოფიო, არ., კოჩიევი რომან პ., ჯამარჯიძე გიორგი ბ.;

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ამხანაგები არ გამოცხადდენ რაიკომში ისინი მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან და მათი პირადი საქმეები გადაეგზავნება ტფ. კომიტეტს.

პასუხის მგ. მდივანი—ზაცკევიჩი.
საარიცხ. სტატისტ. განყ. გამგე ისააკოვი.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, დილის 9 საათზე მოხდება თათბირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიისა.

დღის წესრიგი: 1) მუშა-კორესპონდენტებზე; 2) პოლიტ-ცოდნის, სკოლების, საუბნო პარტიულ სკოლების და მარქსისტული წრეების შესახებ; 3) კლუბებში მუშაობის შესახებ; 4) მიმდინარე საკითხები.

— მოიწვევიან საუბნო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგენი, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების გამგე, საქ. კომუნ. პარტ. ახალგაზ. კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა და კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს წარმომადგენლები.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— **საქ. კომ. პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-2 რაიონის კომიტეტი** იუწყება, რომ ოთხშაბათს, ნოემბრის 14-ს, საღამოს 5 ნახ. ს. ჩოდრიშვილის კლუბის შენობაში (მიხეილის პროსპექტი № 176) შესდგება მე-2 რაიონის წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: ამხ. ფარნიევის მოხსენება, შესვლა ყველასათვის თავისუფალია.

მდივნის მაგიერი ნაზაროვი.

ერთიანი პარტიული დღისათვის.

მომხსენებლებმა ისარგებლონ შემდეგი მასალებით: ამხ. ტროცკის მოხსენებით რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე და გაზ. „პრავდა“-ში მოთავსებულ შემდეგი წერილებით:

„პრავდა“ № 85—19 აპრილი 1923 წ. წერილი—„რუსეთის კომუნისტური პარტიის სოფლად მუშაობის საკითხის გამო“.

„პრავდა“ № 82—15 აპრ. „ოქტომბრის ზარის გუგუნი საქართველოს სოფლებში“ მ. ორახელაშვილისა.

„პრავდა“ № . . . . „კლასიური კავშირი სოფელთან“—ლარინის.

„პრავდა“ № 81.—14 აპრ.—კამენევის „თეზისები საგარდასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლად“.

„პრავდა“ № 78—11 აპრ.—ამხ. ტროცკის თეზისები მრეწველობის შესახებ.

„პრავდა“ № 75—5 აპრ.—სადისკუსიო ფურცელი—რუსეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის საკითხის შესახებ სოფლად.

„პრავდა“ № 73—3 აპრ.—ამხ. კამენევის მოხსენება მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე.

„პრავდა“ № 72—1 აპრ.—მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენი რევოლიუციის დასაყრდნობი ბურჯია.

„პრავდა“ № 233—15 ოქტ. № 235—17 ოქტ № 237—19 ოქტ.—შეფობით განვამტკიცებთ კავშირს—კარპინსკისა.

„პრავდა“ № 225—5 ოქტ.—მაკრატლებზე.—სარაბიანოვისა.

„პრავდა“ № 223—3 ოქტ.—პურის ფასი და ჩვენი ამოცანები—ჩუბარისა.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ესსენი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, საღ. 7 საათზე მოწაფეთა თვითმმართველობის წრის სხდომა.

— პარასკევს 16 ნოემბერს საღ. 7 საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა—არა-რუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლება.

— საღ. 6 საათ. ქართული ენის წრის სხდომა—არა-ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლება.

— საღ. 7 საათ. ბუნების მეტყველთა წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— შაბათს, 17 ნოემბერს, საღ. 6 საათ. პოლიტეკონომიის წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— შაბათობით საღ. 6 საათ. პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით.

— შაბათობით საღ. 6 საათზე დოცენტ გ. ნათაძის ლექციები საზოგადო მეტყველებაში.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, საღ. 7 ს. საზოგადოებრივ მეტყველების წრე სომხურ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 6 ს. [illegible] ხელმძღვანელთა წრე ქართულ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 7 საათ. [illegible] ოლოსიანის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.
კავშირის საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო აწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 30 (126 25 4)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
ბ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14. (46—25—22)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—15

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდგან ალავერდი სოინ-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 132—2—2

დავკარგე ქორწინების მოწმობა მოცემული ქ. კაკანდში დავითი და ლიდა ფურცელაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 143 1—1

დავკარგე სახლის დავთარი საერთო № 3441, განყოფ. № 71, მცხოვრებისა 1-ლი კომისარიატში, პეტროვის შესახვევი № 10, შიო მაისურაძეს სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე სარეგისტრაციო ფურცელი № 135 პავლე ცომლეკინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 145 1—1

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 1980 ელისაბედ სხირტლაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დავკარგე ბირჟის წიგნაკი და კავშირის საწევრო წიგნაკი ევგენი ივანეს ძული ბანდილაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 140 1—1

დავკარგე საბჭოთა მოსამსახურ. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 2193 შოთა იასონის ძე გელოვანის სახელზე გაცემული 1922 წელში. ჩაითვალოს გაუქმებულად. 142 1—1

საშემოსავლო გადასახადი

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

თანახმად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების 1923 წლის 1-ლ ოქტომბრიდან ცხოვრებაში გატარების შესახებ, და ამიერ-კავკასიის ფინსახკომის მიერ 1923 წ. 10 ოქტომბერს ამ დებულების სახელმძღვანელოდ დამტკიცებულ ინსტრუქციისა, აცხადებს საყოველთაოდ შემდეგს:

1) სახლის პატრონები ან სახლის მმართველები საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ქალაქებში, აგრეთვე საბინაო ამხანაგობების მმართველობა, სახლების მმართველნი, სახლების კომენდანტები, მოწყობილ ოთახების და სასტუმროების მეპატრონენი და მოიჯარადრენი ვალდებულნი არიან, **არა უგვიანეს 1923 წ. 1-ლ დეკემბრისა**, აცნობონ, დაწესებულ ფორმით, ფინინსპექტორებს, სახლის მფლობელობის ან უძრავ ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, სია ყველა იმ პირთა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ (სიაში უნდა იყვნენ მოთავსებული ისეთი პირნიც, რომელნიც ამ სიის შედგენის დროს დროებით არ იმყოფებიან ადგილზე) სახლში და აქვთ რაიმე შემოსავალი (გარდა სასოფლო მეურნეობიდან შემოსავლისა, რომელიც იბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით), აგრეთვე ყველა საზოგადოებების, კანტორების, სააგენტოების, კომპანიების და ამხანაგობების გამგეობის, რომელნიც მოთავსებულნი არიან ამავე შენობაში (მუხ. 13).

2) ყველა დაწესებულებანი, რომლებიც ამტკიცებენ და ატარებენ რეგისტრაციაში სავაჭრო-სამრეწველო და სხვა კომერციულ საზოგადოებების, საპაიო ამხანაგობის და საკრედიტო დაწესებულების წესდებას, ვალდებულნი არიან, **არა უგვიანეს 1923 წ. 1 დეკემბრისა**, გაუგზავნონ ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის გადასახადთა განყოფილებას ცნობები აღნიშნულ წარმოებათა შესახებ, მათი გამგეობის დაწვრილებითი მისამართის ჩვენებით (მუხ. 14).

3) ყოველგვარ კერძო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებების და ამხანაგობების, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა და შეერთებულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია ვალდებულია, **არა უგვიანეს 1923 წ. 1 დეკემბრისა**, გაუგზავნოს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის გადასახადთა განყოფილებას, დაწესებულ ფორმით, სიები ამხანაგობის, გამგეობის და საბჭოს წევრის, აგრეთვე პაის მქონე, ან ფულის შემნახველის შესახებ მათი საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით (მუხ. 15).

4) სახელმწიფო, კომუნალური, პროფესიონალური და სხვა დაწესებულებანი და წარმოებანი, აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებები და კომპანიები, საკრედიტო დაწესებულებანი, კოოპერატივები და კოოპერატიული გაერთიანებანი, ყოველგვარი ამხანაგობები და კერძო საკუთრების წარმოებათა მეპატრონენი და მოიჯარადრენი ვალდებულნი არიან, **არა უგვიანეს 1923 წ. 1 დეკემბრისა**, გაუგზავნონ ფინინსპექტორებს დაწესებულ ფორმით, მუშა-მოსამსახურეების შესახებ (თვითეულ პირზე ცალ-ცალკე ბარათის შედგენით), რომელთაც მიღებული აქვთ ყოველგვარი გასამრჯელო, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნულ სიებში უნდა იქნეს ნაჩვენები: ა) სახელი, მამის სახელი და გვარი მუშა-მოსამსახურეებისა, ბ) **ცხრა თვის განმავლობაში 1923 წ. 1-ლ იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე**. მიღებულ ჯამაგირისა და ყოველგვარ გასამრჯელოს რაოდენობა (მიღებული ფული უნდა იქნეს ნაჩვენები საერთო ჯამით, თუ ისინი გამოხატულია საქონლის მანეთებში ან ჩერვონცებში ან სხვა მაგარ ვალიუტაში. თუ ისინი გამოხატულია ბონებში, მაშინ მიღებული ფული უნდა იქნეს ნაჩვენები თვიურად), გ) მათი თანამდებობა, სამსახური ან მუშაობა და დ) საცხოვრებელი ადგილი (მუხ. 16).

5) ყველა გადამხდელი, რომელსაც **1923 წ. 1-ლ იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე** მიღებული აქვს შემოსავალი ყველა წყაროებიდან (გარდა სასოფლო-მეურნეობიდან შემოსავლისა, რომელიც იბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით), რომელიც აღემატება დაწესებულ დაუბეგრავ მინიმუმს, ვალდებულია, **არა უგვიანეს 1923 წლის 15 დეკემბრისა**, წარუდგინოს რაიონის საგადასახადო კომისიას, დაწესებულ ფორმით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დეკლარაცია თავის შემოსავლის შესახებ (მუხ. 17).

6) სიების შეუტანლობისათვის, აგრეთვე ასეთების თავის დროზე წარმოუდგენლობისათვის და ყალბი ცნობების ჩვენებისათვის, სახლის პატრონები და სახლის მმართველები **იქნებიან დაჯარიმებულნი 30 მანეთამდე ჩერვონცებით**. ასეთსავე პასუხს აგებენ იმავე დანაშაულობისათვის მთავრობის დაწესებულების თანამდებობის პირნი, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციების და კერძო საზოგადოების, კომპანიების, ამხანაგობების და საკრედიტო დაწესებულებების რწმუნებულნი, რომელთაც დავალებული აქვთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა და წარმოებათა სახელით წარუდგინონ ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის გადასახადთა განყოფილებას და ფინინსპექტორებს მე 2, 3 და 4 პუნქტებში ნაჩვენები ცნობები და სიები (მუხ. 25).

7) ის გადამხდელნი, რომელნიც თავის დროზე არ შეიტანენ დეკლარაციას, **დაჯარიმებულნი იქნებიან 20 მანეთამდე ჩერვონცებით**; ისენი კი, რომელნიც სრულებით არ შეიტანენ დეკლარაციებს, **40 მანეთამდე ჩერვონცებით** (მუხ. 26).

8) ის გადამხდელნი, რომელნიც არ წარადგენენ საშემოსავლო გადასახადების კომისიების მიერ მოთხოვნილ, გადამხდელთა სისწორით დასაბეგრათ, ცნობებს და დოკუმენტალურ საბუთებს, **დაჯარიმებულნი იქნებიან 30 მანეთამდე ჩერვონცებით** (მუხ. მუხ. 22 და 27).

9) საშემოსავლო გადასახადის დაწესებულებებში წარსადგენ დეკლარაციაში და განმარტებაში ყალბი ცნობების ჩვენებისათვის, გადასახადის თავიდან ასაცილებელ მიზნით, აგრეთვე იმავე მიზნით შემოსავლის წყაროს დამალვისათვის დამნაშავეთ, გარდა იმისა, რომ მათ დაევალებათ სათანადო რაოდენობის გადასახადის დამატებითი გადახდა, **დაედებათ გადასახდელი არა უმეტეს ხუთჯერ გამრავლებულ დამალულ გადასახადის ჯამის რაოდენობისა**.

10) სახლმფლობელობისათვის ბლანკების და სიების და გადამხდელთათვის დეკლარაციების მისაღებათ უნდა მიმართონ რესპუბლიკის რაიონების საგადასახადო განყოფილებების კანცელარიებს, დარჩენ ბლანკების ფორმების ნიმუშები შეიძლება მიიღონ ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის გადასახადთა განყოფილებაში.

11) ქ. ტფილისი დაყოფილია 13 საგადასახადო რაიონის უბნებათ:

1 უბანი (ნაწილი 1 სამილიციო უბნისა) გუნიბის ქ. № 43, ტელეფ. 13—72.
2 „ (ნაწილი 1 სამ. უბნისა) უდელის ქ. № 7, ტელეფ. 6—67.
3 „ (მეორე სამილ. უბანი.) გუნიბის ქ. №43, ტელეფ. 7—91.
4 „ (ნაწილი მე-3 სამილ. უბნისა) კლასიკური ქ. № 14, ტელეფ. 7—33.
5 „ (ნაწილი მე-3 სამილ. უბნისა) რუსთაველის ქ. № 12, ტელეფ. 17—58.
6 „ (მე-4 სამილ. უბანი) ალექსანდრეს ქ. № 3, ტელეფ. 15—10.
7 „ (მე-5 სამილ. უბანი) განოვის ქ. № 3, ტელეფ. 6—15.
8. „ (მე 6 და 7 სამილ. უბნები) მუხრანის ქ. № 9. ტელეფ. 13—76.
9. „ (მე 8 სამილ. უბანი) ნიკოლოზის ქ. № 10, ტელეფონი 7—49.
10. „ (ნაწილი მე 9 სამილ უბნისა) კამოს ქ. № 59, ტელეფ. 19—01.
11. „ (ნაწილი მე 9 და ნაწ. მე 10 სამ. უბ.) პლეხ. ქ. № 82, ტ. 15—14.
12. „ (ნაწილი მე 10 სამილ. უბ), ერისთავის ქ. № 9, ტელეფ. 5—37.
13. „ (მე 11 და 12 სამილ. უბ.) ბორჯომის ქ. № 6, ტელეფ. 6—99.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში—გ. გაშაძე.
გადასახადთა განყოფილების მმართველის მოადგილე ბეზირგანიშვილი.

კრ. 733—1—1

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა საშა [illegible]